

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

იურიდიული ფაკულტეტი



სამაგისტრო ნაშრომი

თემაზე: ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება სადაზღვევო ურთიერთობებში

ნაშრომი შესრულებულია სამართლის მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მოსაპოვებლად

ავტორი: თამუნა ხარანაული

სამეცნიერო ხელმძღვანელი: თამარ ზამზახიძე

თსუ-ის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

თბილისი

2019 წელი

I. შესავალი	1
II. ძირითადი ნაწილი	2
1. დაზღვევის არსი და მნიშვნელობა	2
2. დაზღვევის ხელშეკრულება	3
2.1 დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება	7
2.2 დაზღვევის ხელშეკრულების პირობები	11
2.2.1 დამზღვევის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის მნიშვნელობა სადაზღვევო ურთიერთობებში	17
2.3 სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევის გამოჯვანა	22
3. დაზღვევის ხელშეკრულების მხარეები	24
4. სადაზღვევო ურთიერთობის პრინციპები	26
4.1 კეთილსინდისიერების პრინციპი	26
4.2 პრინციპი contra proferentem	31
5. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მნიშვნელობა	33
5.1 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ხელშეკრულების დადებისას საქართველოსა და უცხო ქვეყნების მაგალითზე	37
5.1.1. მზღვეველის ვალდებულება ხელშეკრულების დადებისას	37
5.1.2 დამზღვევის ვალდებულება ხელშეკრულების დადებისას	41
5.2 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ხელშეკრულების განმავლობაში	46
5.2.1. დამზღვევის ვალდებულება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში	46
5. 2. 2. მზღვეველის ვალდებულება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში	48
6. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგები საქართველოსა და უცხო ქვეყნის მაგალითზე	50
6. 1 დამზღვევის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა	50
6. 2 მზღვეველის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა	52

7. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგი.....	54
7.1. ვალდებულების დარღვევის მიმოხილვა ქართული კანონმდებლობის მიხედვით.....	54
7.2 ვალდებულების დარღვევის მიმოხილვა უცხო ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით.....	58
III. დასკვნა	59
ბიბლიოგრაფია.....	62

აბრევიატურები:

ქართულ ენაზე:

ა.შ	ასე შემდეგ
ე.წ.	ეგრეთ წოდებული
იხ.	იხილეთ
მაგ.	მაგალითად
მუხ.	მუხლი
რედ.	რედაქტორი
სსკ	საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
შეად.	შეადარე

ინგლისურ ენაზე:

ICA	Insurance Contract Act
PEICL	Principles of European Insurance Contract Law

I. შესავალი

თანამედროვე მსოფლიოში უფრო და უფრო ვითარდება დაზღვევისადმი ინტერესი. სადაზღვევო ბიზნესი საქართველოში ბოლო პერიოდში უფრო და უფრო მზარდი და ამასთანავე მიმზიდველი გახდა. 2018 წლის პირველი კვარტლისთვის რეგისტრირებული იყო 17 სადაზღვევო კომპანია, 16 მათგანი ფლობდა სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას, ხოლო ერთი მათგანი მხოლოდ არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას.¹

სადაზღვევო ურთიერთობა, ყველა სხვა სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობისაგან განსხვავებით, ყველაზე მეტად მოითხოვს მხარეთაგან კეთილსინდისიერებას და ერთმანეთისადმი ნდობის უმაღლეს გამოვლენას. ეს განპირობებულია თავად ამ სამართალურთიერთობის ხასიათიდან, ვინაიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების მიზნის მიღწევა მხოლოდ ორივე მხარის ერთმანეთისადმი ნდობით მიიღწევა. ეს კი ნიშნავს იმას, რომ ხელშეკრულების ორივე მხარე ფიდუციური ვალდებულებითაა აღჭურვილი და თუნდაც ერთი მხარის მიერ დამალული/გაუმჯდავენებელი ან არასწორად გაცემული ინფორმაცია გამოიწვევს ხელშეკრულების მოშლას.

ნაშრომის ძირითად მიზანს მხარეთა ურთიერთვალდებულებათა მნიშვნელობის წარმოჩენა წარმოადგენს. განსაკუთრებით ყურადღება ექცევა ერთმანეთის მიმართ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების უდიდეს მნიშვნელობას და ამ ვალდებულების დარღვევის სამართლებრივ შედეგებს. აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობასთან ერთად განხილულია უცხო ქვეყნის სასამართლო პრაქტიკა და მიდგომები აღნიშნული ვალდებულების მიმართ.

ნაშრომის ნაწილი ეთმობა უშუალოდ სადაზღვევო ურთიერთობის არსს და მნიშვნელობას, აგრეთვე განსაზღვრულია მისი სამართლებრივი ბუნება და მისი მნიშვნელობა ხელშეკრულების დადებისას და დადების შემდგომ პერიოდში. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სადაზღვევო ხელშეკრულების მხარეთა ვალდებულებებს ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით, ვინაიდან ამ ვალდებულების შესრულება ორივე მხარისათვის აუცილებელია, რათა არსებობდეს მათ შორის ნამდვილი ხელშეკრულება. ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ხელშეკრულებისადმი

¹ ჭელიძე მ./ბერიძე თ./ქორჯოლიანი გ., საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს მიმოხილვა (სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაოს“ მაგალითზე) კონკურენციის პოლიტიკა: ტენდენციები და გამოწვევები, თბილისი, 2018, 135.

გარკვეული პირობების გავრცელება დამოკიდებულია უშუალოდ ხელშეკრულების მხარეებზე, რაც გულისხმობს იმას, რომ გათვალისწინებულ უნდა იქნეს თუ ვინ წარმოადგენს ხელშეკრულების მხარეს: გამოცდილი მეწარმე პირი თუ მომხმარებელი, რომელიც არ არის გაცნობიერებული სადაზღვევო სამართლის პირობების მნიშვნელობასა თუ მის სამართლებრივ შედეგებზე. სწორედ ამიტომ, აღნიშნული განსხვავებიდან გამომდინარე, ნაშრომში გამოიჯნულია მეწარმე პირებთან დადებული სადაზღვევო ხელშეკრულებები, მომხმარებელთან დადებული სადაზღვევო ხელშეკრულებებისაგან. გარდა ამისა, მსჯელობისას ყურადღება ექცევა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის დაზღვევის ნორმების სწორად განმარტების მნიშვნელობას კონკრეტული სადაზღვევო ურთიერთობის შემთხვევაში.

ნაშრომში განხილულია ყველა ის სპეციფიკა და პრობლემა, რომელიც ახასიათებს სადაზღვევო ურთიერთობებს ხელშეკრულების დადებისას თუ მის შემდგომ პერიოდში. აგრეთვე, ყურადღებაა გამახვილებული მხარეთა ძირითადი ვალდებულების მნიშვნელობაზე და ამ ვალდებულების არსის გაცნობიერებაზე, რომელიც, აპრიორი, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სადაზღვევო ურთიერთობისას.

II. ძირითადი ნაწილი

1. დაზღვევის არსი და მნიშვნელობა

„სამოქალაქო კოდექსში დაზღვევას ეთმობა მეოცე თავი (799-858 მუხლები), ამ თვალსაზრისით, 799-ე მუხლი, როგორც ცენტრალური ნორმა დაზღვევის ხელშეკრულების არსსა და მხარეთა უფლება-მოვალეობის ურთიერთმიმართებას განსაზღვრავს.“² ამ ნორმის პირველი ნაწილის თანახმად, „დაზღვევის ხელშეკრულებით მზღვეველი მოვალეა აუნაზღაუროს დამზღვევს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით მიყენებული ზიანი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად. მყარად დადგენილი სადაზღვევო თანხით დაზღვევისას მზღვეველი მოვალეა გადაიხადოს სადაზღვევო თანხა ან შეასრულოს სხვა შეპირებული მოქმედება.“ ხოლო, მეორე ნაწილის თანახმად დამზღვევი ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი(პრემია).“ გარდა ამისა, დაზღვევის სფეროში სადაზღვევო ორგანიზაციებსა და იურიდიულ და ფიზიკურ პირებს შორის, ასევე თვით სადაზღვევო ორგანიზაციებს შორის სადაზღვევო საქმიანობის

² ირემაშვილი ე., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 14.06.2016, მუხ. 799, ველი 2.

სახელმწიფო რეგულირების ძირითად პრინციპებს ადგენს საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“.³ ამ კანონის თანახმად, „დაზღვევა არის ურთიერთობა, რომელიც მყარდება ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად სადაზღვევო შენატანებით (სადაზღვევო პრემიით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე, გარკვეული გარემოებების (სადაზღვევო შემთხვევების) დადგომისას.“⁴

დაზღვევის ხელშეკრულების მიზანს, მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის სადაზღვევო შემთხვევის დადგომით შესაძლო ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა წარმოადგენს.⁵ გამომდინარე აქედან, „დაზღვევა შესაძლებლობას აძლევს ადამიანებს, თავი დაიზღვიონ იმ მოსალოდნელი რისკებისგან, რომლის თავიდან აცილება, ხშირად შეუძლებელია.“⁶ სადაზღვევო შემთხვევა ნიშნავს, იმ რისკის მატერიალიზაციას, რომელიც გათვალისწინებულია სადაზღვევო ხელშეკრულებით.⁷ რისკი კი არის უარყოფითი გამონაკლისის შესაძლებლობა სასურველი შედეგიდან, რომელიც მოსალოდნელია ან მხარე იმედოვნებს. ეს არის მოვლენათა კომბინაცია გარემოში, სადაც არსებობს დანაკარგის შესაძლებლობა.⁸

2. დაზღვევის ხელშეკრულება

სადაზღვევო ურთიერთობა, წარმოადგენს სამოქალაქო სუბიექტთა ურთიერთობის ერთ-ერთ სახეს, რომელიც რეგულირდება სამართლებრივი ნორმებით. სადაზღვევო ურთიერთობა შეიძლება იყოს არასახელშეკრულებო (სავალდებულო) და სახელშეკრულებო, რომელიც წარმოიშობა დაზღვევის ხელშეკრულების თაობაზე მხარეთა კერძო ავტონომიის ფარგლებში, მათი

³ საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“, საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 21-22, 31.05.1997, №690, მუხლი 1, პუნქტი 1, ხელმისაწვდომია: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/29884?publication=24>

⁴ საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“ მუხლი 2, „ა“ ქვეპუნქტი.

⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2012 წლის 17 თებერვლის №ას-663-624-2011 განჩინება.

⁶ მოწონელიძე ნ., სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, თბილისი, 2016, 16, იხ. Looschelders D., *Bewältigung des Zufalls durch Versicherung*, *VersR* 1996, 529 ff. მითითებულია: Looschelders, in: Looschelders/Pohlmann, *VVG Versicherungsvertragsgesetz, Kommentar*, 2. Auflage, 2011, *Vorbemerkung A. Rn. 16*.

⁷ PEICL (Principles of European Insurance Contract Law) Article 1:201 (2).

⁸ Vaughan E. J./ Vaughan T. M., *Fundamentals of risk and insurance*, 10th ed., 2007, 2.

ნების გამოხატვის საფუძველზე.⁹ დაზღვევა უზრუნველყოფს დამზღვევისათვის სხვადასხვა ფაქტორის ზემოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. შესაბამისად, დაზღვევა წარმოადგენს სამოქალაქო სუბიექტების უფლებების დაცვის სამოქალაქოსამართლებრივ გარანტიას.¹⁰

ბიზნესი დაკავშირებულია გარკვეულ რისკებთან, რომელიც არაერთი მიზეზით შეიძლება იყოს გამოწვეული. დაზღვევის ხელშეკრულებით კი, პრემიის გადახდის სანაცვლოდ კომპენსირდება დანაკარგების რისკი.¹¹

„დაზღვევის ობიექტების მიხედვით, განასხვავებენ ქონებრივ და პირად დაზღვევას. თუ დაზღვევის ობიექტია ნებისმიერი ქონება, მაშინ უნდა გაფორმდეს ქონების დაზღვევის ხელშეკრულება, ხოლო დამზღვევის (დაზღვეულის) სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაზღვევისას ფორმდება პირადი დაზღვევის ხელშეკრულება. ქონებრივი და პირადი დაზღვევა, შესაძლებელია განხორციელდეს როგორც სავალდებულო, ისე ნებაყოფლობითი დაზღვევის ფორმით.“¹²

„სადაზღვევო საქმიანობა მოგების მიღებაზეა ორიენტირებული. შესაბამისად, მზღვეველის მიერ მოგების მიღება მის გონივრულ მოლოდინად განიხილება. თუმცა, სადაზღვევო ურთიერთობისათვის დადგენილი ობიექტური კრიტერიუმები მზღვეველის მოგების მიღების მიზანსაც გარკვეულ კალაპოტში აქცევს. ეკონომიკურ თეორიაში აღნიშნავენ, რომ მოგება არ უნდა იყოს „გადაჭარბებული.“კერძოდ, სამართლიანი დაზღვევისას, მზღვეველის მიერ მოზიდული პრემიების ჯამი მნიშვნელოვნად არ უნდა აღემატებოდეს სადაზღვევო ანაზღაურების სახით ჯამურად გაცემულ თანხას.“¹³

„დაზღვევის ხელშეკრულება მხარეთა შორის არსებულ განსაკუთრებულ ურთიერთნდობას ეფუძნება.“¹⁴ ხელშეკრულების დადებისთვის აუცილებელია მხარეთა ორმხრივი ნების გამოვლენა, რაც იმას გულისხმობს, რომ თავისუფლების შეზღუდვა სახელშეკრულებო

⁹ ქეცბაია ე., დაზღვევის სამართალურთიერთობის სუბიექტები და ობიექტი, *ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი*, №4 (43), თბილისი, 2014, 85.

¹⁰ ამირანაშვილი გ., დაზღვევის ხელშეკრულების ალელატორული ბუნება და მისი მიმართება პირობით გარიგებასთან, *ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი*, №1 (61), 2019, 131

¹¹ Tyagi C.L/ Tyagi M., *Insurance law and practice*, 2007, 2.

¹² ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 36

¹³ ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 133.

¹⁴ ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 60.

სამართალში ემყარება მხარეთა ნების თავისუფალი გამოვლენის პრინციპს.¹⁵ გარდა ამისა, სსკ-ის პირველი მუხლი მიგვითითებს, რომ კოდექსი პირთა თანასწორობაზე დამყარებულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობებს აწესრიგებს. სადაზღვევო კონტრაქტით ერთი-ერთი მხარე - მზღვეველი, ჰპირდება მეორე მხარეს - დამზღვევს, რომ დაუფარავს სადაზღვევო რისკით გამოწვეულ ზიანს, დამზღვევის მიერ პრემიის გადახდის სანაცვლოდ.¹⁶

ფინანსური თვალსაზრისით, სადაზღვევო ხელშეკრულებით, დამზღვევთა ჯგუფი მზღვეველს გადასცემს რისკს. მზღვეველი ახორციელებს დანაკარგების სტატისტიკურ პროგნოზს და უზრუნველყოფს ამ რისკის ანაზღაურებას იმ ფონდიდან, რომელშიც დამზღვევთა მიერ შეიტანება სადაზღვევო პრემია, ხოლო სამართლებრივი თვალსაზრისით, სადაზღვევო კონტრაქტი არის ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ერთი მხარე (მზღვეველი) რისკის პროპორციულად, მისთვის გადაცემული სადაზღვევო თანხის ფარგლებში, უზრუნველყოფს მეორე მხარის უსაფრთხოებას, იმ თვალსაზრისით, რომ არ განიცადოს დანაკარგი ან ზიანი. დაზღვევა ითვალისწინებს პირის დაზღვევას გაურკვეველი მოვლენებისგან, რამაც, შესაძლებელია, ზიანი მიაყენოს მას.¹⁷ ხელშეკრულების დადებით ხელშეკრულების მონაწილეები, საკუთარი თავისუფლების სახელშეკრულებო თვითბოჭვის ფარგლებში, ნებაყოფლობითა და ორმხრივად კისრულობენ ამა თუ იმ ვალდებულების შერულებას.¹⁸

მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადებიდან, მთავრდება სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი, რაც იმას გულისხმობს, რომ მხარეები ერთმანეთის მიმართ აღჭურვილნი არიან უფლება-მოვალეობებით. კერძოდ, ორივე მხარეს აქვს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნის უფლება და შესრულების ვალდებულება.¹⁹ ამასთან, ხელშეკრულების დადება ღირებულების შექმნას უკავშირდება და მხარეებს გააზრებული აქვთ, რომ ხელშეკრულების დადების შემდგომ ისინი უკეთეს მდგომარეობაში უნდა აღმოჩნდნენ.²⁰

¹⁵ ჭანტურია ლ., *სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი*, თბილისი, 2011, 89.

¹⁶ PEICL, Article 1:201 (1).

¹⁷ Gupta P.K., *Fundamentals of insurance*, 2008, 30.

¹⁸ ჭანტურია ლ., *სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი*, თბილისი, 2011, 91.

¹⁹ შენგელია ი., *სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი №4 (23), 2009, 47.*

²⁰ ჩაჩანიძე თ., *სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი №3, (26), 2010, 26.*

„სამოქალაქო კოდექსის 50-ე, 327-ე მუხლებზე მითითებით სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ხელშეკრულების მონაწილე მხარეები ნების გამოვლენის მეშვეობით მიზნად ისახავენ გარკვეული სამართლებრივი შედეგის მიღწევას. ურთიერთშორის გაფორმებული ხელშეკრულებით მხარეები თანხმდებიან არა მხოლოდ სამართლებრივ შედეგებზე, არამედ პირობებზე და წესებზე, რომლებსაც უნდა დაემორჩილონ კონკრეტული სამართლებრივი შედეგის მისაღწევად.“²¹

სადაზღვევო ურთიერთობებში, დაზღვევის მონაწილეთა მიერ დადებულ ხელშეკრულებას წარმოადგენს სადაზღვევო პოლისი. ეს ორი ტერმინი, სადაზღვევო პრაქტიკაში, თანაბარი მნიშვნელობით გამოიყენება.²² „სადაზღვევო პოლისი მზღვეველის მიერ გაცემულ დაზღვევის ან გადაზღვევის ხელშეკრულებას წარმოადგენს, რომელიც ადასტურებს მხარეთა შორის დაზღვევის არსებობას და ანიჭებს დამზღვევეს უფლებამოსილებას, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.“²³

სადაზღვევო ურთიერთობაში, ორივე მხარე ერთმანეთის კეთილსინდისიერებასა და ნდობაზეა დამოკიდებული, რაც გამოიხატება დამზღვევის მიერ ინფორმაციის მიწოდების სიზუსტეზე და თავის მხრივ, მზღვეველის ნებაზე - სამართლიანად და ეფექტურად აუნაზღაუროს დამზღვევეს სადაზღვევო თანხა. გამომდინარე აქედან, კეთილსინდისიერების პრინციპის საფუძველზე, მათ არ უნდა დაუშვან ხელშეკრულების დადება ამ მოთხოვნის საწინააღმდეგოდ.²⁴ სახელშეკრულებო ვალდებულების ფარგლებში, მხარეები ვალდებული არიან გაითვალისწინონ ერთმანეთის ინტერესები. ამ ვალდებულების დარღვევა კი ბოროტ განზრახვად უნდა დაკვალიფიცირდეს.²⁵

დაზღვევის ხელშეკრულების საგნის განსაზღვრისას მნიშვნელოვანია დაზღვევის ხელშეკრულების მიმართ მხარეთა ინტერესებისა და მოლოდინების დაზუსტება, რომელიც უმთავრესად უკავშირდება მხარეთა კეთილსინდისიერებას. ეს გულისხმობს იმას, რომ მზღვეველი

²¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2013 წლის 23 დეკემბრის განჩინება, საქმე №ას-614-584-2013.

²² ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gcc.ge, 14.03.2016, მუხ. 802, ველი 1.

²³ ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 21.

²⁴ ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 60-61.

²⁵ ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, თბილისი, 2014, 92-93.

დამზღვევისაგან მოელის უტყუარი და სრულყოფილი ინფორმაციის მიღებას დაზღვევის ობიექტის შესახებ, ხოლო დამზღვევი მოელის მზღვეველისაგან ზიანის ანაზღაურების თაობაზე მიღებული დაპირების შესრულებას.²⁶

2.1 დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება

სადაზღვევო სამართალურთიერთობა ვალდებულებითი ურთიერთობაა, რომელიც ადგენს ერთი მხარის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების გადახდის და მეორე მხარის მიერ სადაზღვევო პრემიის შეტანის შესახებ უფლებებსა და მოვალეობებს.²⁷ „კერძო ავტონომიის ცნებაში, უპირველეს ყოვლისა, ნების ავტონომია, როგორც განსაზღვრული უფლებამოვალეობის ჩარჩოებში სამართლებრივი შედეგზე ორიენტირებული მოქმედება, მოიაზრება და თითოეულ მხარეს შეუძლია გამოხატოს თავისი ნება და ამ ნებით სასურველ შედეგს მიაღწიოს.“²⁸ „ამგვარად, ნების გამოვლენა გარიგების ბირთვია, ის გარეგნულად აღქმადი ნების აქტია, რომელიც მიმართულია მართლწესრიგის მიერ სანქცირებული სამართლებრივი შედეგებისკენ.“²⁹ ნების გამოვლენა გარიგების ყველაზე მნიშვნელოვანი და უმთავრესი ელემენტია.³⁰

დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების განმსაზღვრელი ელემენტებია რისკის³¹ გადაცემა და ზიანის ანაზღაურების დაპირება.³² ერთ-ერთი ავტორის³³ მოსაზრების თანახმად, როდესაც ვამბობთ, რომ გარკვეული მოვლენის დადგომა არის შესაძლებელი, ჩვენ

²⁶ ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 28.

²⁷ ქეცბაია ქ., დაზღვევის სამართალურთიერთობის სუბიექტები და ობიექტი, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, №4 (43) 2014, 85. იხ: Смирнова М., Страхование право, Юстициформ, 2007, 45.

²⁸ ქოჩაშვილი ქ., ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება), სამართლის ჟურნალი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, №2, 2016, 28. იხ. ჯორბენაძე ს., შეცდომა გარიგებაში, პარალელი სხვა სამართლებრივ ინსტიტუტებთან, ჟურნ. „სამართლის ჟურნალი“, №2, 2011, 192.

²⁹ ქოჩაშვილი ქ., ნება და მისი გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, №2, 2016, 25. იხ. კროპკოლოერი ი., გერმანიის სამოქალაქო კოდექსი, სასწავლო კომენტარი, მთარგმნელები: დარჯანია თ., ჭეჭელაშვილი ზ., რედ. ჩაჩანიძე ე., დარჯანია თ., თოთლაძე ლ., თბილისი, 2013, 37.

³⁰ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 316

³¹ იგულისხმება სადაზღვევო რისკი, რომელის სააქართველოს კანონის „დაზღვევის შესახებ“ მეორე მუხლის „ი“ ქვეპუნქტის თანახმად არის მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა;

³² ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 20. იხ. Denenberg H., The Legal Definition of Insurance: Insurance Principles in Practice, “The Journal of Insurance”, Vol. 30, No. 3. (Sep., 1963), 341.

³³ Vaughan E. J./ Vaughan T. M., Fundamentals of risk and insurance, 10th ed., 2007, 2-3.

ვგულისხმობთ, რომ ამ მოვლენის დადგომის ალბათობა მერყეობს ნულიდან ერთმადე. ეს არც შეუძლებელია და არც უდავო. აღსანიშნავია ისიც, რომ არ არსებობს იმის საჭიროება, რომ ეს შესაძლებლობა იყოს გავრცელებული - საკმარისი მხოლოდ მისი არსებობაა. ჩვენ შესაძლებელია, არ შეგვიძლია ზუსტად გავზომოთ რისკის ხარისხი, მაგრამ არასასურველი შედეგის ალბათობა უნდა იყოს ნულსა და ერთს შორის.³⁴

მზღვეველის ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას დამზღვევის სასარგებლოდ ზიანის ანაზღაურება წარმოადგენს, რომელიც დამოკიდებულია სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე. აღნიშნული კი მხარეთა მიერ არაკონტროლირებადია და მისი დადგომაც, წინასწარ განუჭვრეტადია, რის გამოც მზღვეველის ვალდებულება დამზღვევის სასარგებლოს ზიანის ანაზღაურების მხრივ პირობითი და სათუთაა.³⁵

„დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივად მავალდებულებელი, კონსენსუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა.“³⁶

დაზღვევის ხელშეკრულებით, დამზღვევი ვალდებულია აანაზღაუროს მომსახურება, ხოლო მზღვეველი თავის თავზე იღებს სადაზღვევო თანხის გადახდის ვალდებულებას დამზღვევის ან სხვა პირის სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გამო. აღნიშნულიდან გამომდინარე, სადაზღვევო ურთიერთობა ითვლება **სასყიდლიან ურთიერთობად**, ვინაიდან ამ ურთიერთობის ორივე მხარე იღებს თანხის გადახდის ვალდებულებას, რაც ამ ურთიერთობას სასყიდლიანს ხდის.³⁷

სადაზღვევო ურთიერთობაში მზღვეველი ვალდებულია, დამზღვევს ან მესამე პირს აუნაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთან დაკავშირებული თანხა, ხოლო დამზღვევი მოვალეა გადაიხადოს

³⁴ ავტორის განმარტებით, ალბათობას ვზომავთ წარმოსაზრებით საზომზე, რომელსაც ვნიშნავთ ერთით, რომელიც მთავრდება ნულით და მათი შეერთებით. ყველაზე მაღალი წეტილი, აღინიშნება ერთიანით და გულისხმობს აბსოლუტურ რეალობას. ნებისმიერი რამ, რომელიც აუცილებლად უნდა მოხდეს ამ ნიშნით აღინიშნება. $P = 1$ ("probability" – „ალბათობა“). საზომის დაბალი ნიშანი არის ნული, რომელიც გულისხმობს აბსოლუტურ შეუძლებლობას. მაგ., ალბათობა იმისა, რომ მკითხველი 30 წამში ერთ კილომეტრს გაირბენს არის ნულის ტოლი, ვინაიდან მარცხი გარდაუვალია. შესაბამისად, $P = 0$. რაც შეეხება ისეთ მოვლენებს, რომლის დადგომა არც უდავოა და არც გამორიცხული, მინიჭებული აქვს ისეთი მნიშვნელობა, რომლებიც განსხვავდება ამ შემთხვევის დადგომის ალბათობით.

³⁵ ამირანაშვილი გ., დაზღვევის ხელშეკრულების ალუატორული ბუნება და მისი მიმართება პირობით გარიგებასთან, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N1 (61), 2019, 131.

³⁶ ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინ კომენტარი, gccc.ge, 14.03.2016, მუხ. 799, ველი 13.

³⁷ ქეცბაია ე., დაზღვევის სამართალურთიერთობის სუბიექტები და ობიექტი, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, №4 (43) 2014, 85.

დადგენილი შესატანი (სადაზღვევო პრემია). შესაბამისად, **სადაზღვევო ვალდებულებები ორმხრივია**. ორმხრივია ურთიერთობა, რომლის დროსაც ორი ან მეტი მხარე ნების გამოხატვის შედეგად კისრულობს ერთმანეთის მიმართ გარკვეულ ვალდებულებას. ამასთან, სადაზღვევო ვალდებულებები შესაძლებელია განხორციელდეს მესამე პირების (სარგებლის მიმღების) სასარგებლოდაც.³⁸

რაც შეეხება სადაზღვევო ხელშეკრულების ხასიათს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში მოსაზრებები იყოფა. ზოგიერთი მათგანი მას რეალურ ხელშეკრულებათა რიცხვს მიაკუთვნებს³⁹ იმ საფუძველზე, რომ მზღვეველის მოვალეობა წარმოიშობა არა მხარეთა შეთანხმების, არამედ უშუალოდ პრემიის გადახდის მომენტიდან. ხოლო ზოგიერთის მოსაზრებით⁴⁰ სადაზღვევო ხელშეკრულება კონსესუალური ხელშეკრულებების რიცხვს მიეკუთვნება.

საკასაციო სასამართლომ, ერთ-ერთ საქმეზე⁴¹ განმარტა, რომ დაზღვევის ხელშეკრულება განეკუთვნება ე.წ. რეალურ ხელშეკრულებათა კატეგორიას. მსჯელობა ეფუძნება იმ არგუმენტაციას, რომ „მხარეთა უფლება–მოვალეობები წარმოიშობა მხოლოდ მზღვეველის მიერ გაცემული დაზღვევის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე სადაზღვევო შენატანის გადახდის შემდეგ. საკასაციო პალატის განმარტებით, დაზღვევის სამართლებრივი ურთიერთობის დაწყება დაკავშირებულია არა მარტო დაზღვევის ხელშეკრულების დადებასთან, არამედ სადაზღვევო პრემიის გადახდასთანაც. ის გარემოება, რომ მზღვეველის მოვალეობა წარმოიშობა არა მხარეთა შეთანხმების, არამედ პრემიის გადახდის მომენტიდან, დაზღვევის მნიშვნელოვან თავისებურებას წარმოადგენს და აქცევს მას რეალურ ხელშეკრულებად.“

სსკ-ში⁴² მითითებულია, რომ „დაზღვევა იწყება ხელშეკრულების დადების დღის ოცდაოთხ საათზე და მთავრდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ბოლო დღის ოცდაოთხ საათზე.“ ამასთან, 816-ე

³⁸ იქვე.

³⁹ ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 27.

⁴⁰ მაგ.: ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 25. იხ. აგრეთვე, გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, თბილისი, 2002, 47-78.

⁴¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2013 წლის 9 ოქტომბრის №ას-1708-1602-2012 გადაწყვეტილება.

⁴² საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 806-ე მუხლის პირველი ნაწილი, 1997 წლის 26 ივნისი, პარლამენტის უწყებანი, №31, 24.07.1997, №786.

მუხლში ვკითხულობთ: „პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შესატანის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან.“ მხარეთა უფლება-მოვალეობა წარმოიშობა დაზღვევის ხელშეკრულების დადების მომენტიდან. ამასთან, მხარის მიერ გარკვეული მოვალეობის შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული მოვლენის დადგომაზე.⁴³ აღნიშნულიდან გამომდინარე, მხარეთა შორის ვალდებულებები ხელშეკრულების დადებისას განისაზღვრება, თუმცა ამ ვალდებულების წარმოშობისთვის აუცილებელია, რომ დამზღვევმა გადაიხადოს სადაზღვევო შესატანი. შესაბამისად, მხარეთა შორის ხელშეკრულება შესაძლებელია დაიდოს და შეთანხმდნენ პირობებზე, თუმცა ვალდებულება წარმოიშვას გარკვეული პირობების დადების შემდგომ, რაც მის კონსესუალურ ხასიათზე მეტყველებს. როგორც ყველა ნებისმიერი სამართალურიერთობის, ისე დაზღვევის ხელშეკრულების უმთავრეს ფუნდამენტს კეთილსინდისიერების პრინციპი წრმოადგენს. შესაბამისად, მხარეები ხელშეკრულების პირობებზე შეთანხმებისას დებენ ხელშეკრულებას, თუმცა დაზღვევის ხასიათიდან გამომდინარე, მხარეთა ვალდებულებები წარმოიშობა პირველი შესატანის განხორციელებიდან.

დაზღვევის ხელშეკრულების ხასიათზე მსჯელობისას, უზენაესი სასამართლო ერთ-ერთ საქმეზე,⁴⁴ მიუთითებს, რომ დაზღვევის ხელშეკრულება რეალურ ხელშეკრულებათა კატეგორიას მიეკუთვნება და არის ორმხრივად მავალდებულებელი გარიგება, კერძოდ, ერთი მხრივ, დამზღვევის სახელშეკრულებო ვალდებულებას წარმოადგენს სადაზღვევო პრემიის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში გადახდა და მეორე მხრივ, მზღვეველის ვალდებულებაა სადაზღვევო შემთხვევის ანაზღაურება. ანაგლოგიურად იმსჯელა უზენაესმა სასამართლომ კიდევ ერთ საქმეზე⁴⁵, როდესაც გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება⁴⁶ და მიუთითა, რომ სადაზღვევო ხელშეკრულება არის რეალური ხელშეკრულება. ამასთან, სასამართლოს მითითებით, მხარეთა უფლება-მოვალეობები წარმოიშობა მხოლოდ მზღვეველის მიერ გაცემული დაზღვევის დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე სადაზღვევო შენატანის გადახდის შემდეგ, რის გამოც დაზღვევის სამართლებრივი ურთიერთობის დაწყება დაკავშირებულია არა

⁴³ ამირანაშვილი გ., დაზღვევის ხელშეკრულების ალუატორული ბუნება და მისი მიმართება პირობით გარიგებასთან, *ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი №1 (61), 2019, 145.*

⁴⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2015 წლის 3 აპრილის №ას-1308-1246-2014 გადაწყვეტილება.

⁴⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 21 თებერვლის №85-81-2013 განჩინება.

⁴⁶ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის №28/3080-12 გადაწყვეტილება.

მარტო დაზღვევის ხელშეკრულების დადებასთან, არამედ სადაზღვევო პრემიის გადახდასთანაც.

„რეალურ ხელშეკრულებაში ერთი მხარის მიერ ვალდებულების შესრულება ვალდებულებას აკისრებს მეორე მხარეს. კონსესუალურ ხელშეკრულებაში კი ვალდებულების წარმოშობა დამოკიდებულია მხარეთა შეთანხმებაზე.“⁴⁷ სსკ-ის 816-ე მუხლის თანახმად, პირველი ან ერთჯერადი სადაზღვევო შესატანის დროულად გადახდამდე მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობისაგან. ნორმიდან გამომდინარე, ხაზი გასმულია მზღვეველის ვალდებულების დაწყებაზე და არა ხელშეკრულების დადების დაწყებაზე. ამასთან, სწორედ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება ავალდებულებს მხარეებს, ერთი მხრივ პრემიის გადახდის ვალდებულებას და მეორე მხრივ, სადაზღვევო შემთხვევით შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, რაც მას კონსესუალურ ბუნებას ანიჭებს.

2.2 დაზღვევის ხელშეკრულების პირობები

თავისი ბუნებიდან გამომდინარე, დაზღვევის ხელშეკრულება საკმაოდ სპეციფიკურია, ვინაიდან მხარეები, ხელშეკრულების დადებამდე ბევრ ფაქტორზე უნდა დაფიქრდნენ. დაზღვევის ხელშეკრულება სარისკო ხასიათის მქონეა და ამიტომ მზღვეველმა წინასწარ უნდა გათვალოს ხელშეკრულების დადების რისკი და უნდა ფლობდეს იმ ინფორმაციას, რომელიც სადაზღვევო შემთხვევის დადგომასთანაა დაკავშირებული. თავის მხრივ, დამზღვევმაც უნდა აწონ-დაწონოს თუ რამდენადაა მისთვის ხელსაყრელი შემოთავაზებული პირობები ხელშეკრულების დასადებად.⁴⁸

დაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე მნიშვნელოვანია, რომ მხარეები შეთანხმდნენ დაზღვევის ინტერესისა და საგნის შესახებ; მათ ზუსტად უნდა განსაზღვრონ დაზღვევის რისკი, სადაზღვევო თანხა, სადაზღვევო საზღაურის გამოანგარიშების წესი, სადაზღვევო პრემიის შეტანის წესი და პირობები. წინააღმდეგ შემთხვევაში დაზღვევის ხელშეკრულება არ დაიდება.⁴⁹

„სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპი თავის გამოხატულებას ჰპოვებს არა მხოლოდ ხელშეკრულების დადება-არდადებაში, არამედ, თუ როგორი ფორმით, რა შინაარსით, რა ვადებით სურთ მხარეებს ამა თუ იმ

⁴⁷ ირემაშვილი ქ., *მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმების სადაზღვევო ურთიერთობებში*, თბილისი, 2016, 22. შემდგომი მითითებით: ახვლედიანი ზ., *ვალდებულებითი სამართალი*, გამომცემლობა „სამართალი“, თბილისი, 1999, 29.

⁴⁸ გაბუნია მ., *მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები*, სტატიათა კრებული, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2016, 37.

⁴⁹ ცისკაძე მ., *ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება*, თბილისი, 2001, 8

ხელშეკრულების დადება⁵⁰ სახელშეკრულებო სამართლიანობის მიღწევის მიზნით კონტრაქტებმა პატივი უნდა სცენ ძირითად უფლებებს და არ დაუშვან სახელშეკრულებო დებულებებით მათი დარღვევა, შესაბამისად, ისინი ყოველთვის, სახელშეკრულებო პერიოდის განმავლობაში, უნდა იცავდნენ კეთილსინდისიერების პრინციპს.⁵¹ კერძო ავტონომიის ცნება გულისხმობს აგრეთვე თვითპასუხისმგებლობას. ეს ნიშნავს იმას, რომ პირი თავად აგებს პასუხს თავისი მოქმედებისთვის. ის, რაც მან ჩაიდინა, ან იკისრა, თვითონვე უნდა გამოასწოროს ან შეასრულოს.⁵²

თანამედროვე ბაზრის განვითარების ერთ-ერთი შედეგს ხელშეკრულების სტანდარტული პირობების გამოყენება წარმოადგენს, რომელიც არაერთ სამართალურთიერთობაში გამოიყენება, მათ შორის დაზღვევის სახელშეკრულებო ურთიერთობებში.⁵³ საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „ხელშეკრულება მხარეთა ვალდებულების განმსაზღვრელი იმ დებულებებისაგან შედგება, რომელიც ხელშემკვერელთა თავისუფალი ნების გამოვლენის შედეგად მიღწეულ შეთანხმებას ასახავს“.⁵⁴ თავისუფლების პრინციპიდან გამომდინარე, გარიგებითი კერძო ავტონომია სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველია.⁵⁵

სამართლებრივ თანასწორობა არის ის, რაზეც დამყარებულია სახელშეკრულებო ურთიერთობები სამოქალაქო სამართლის სუბიექტებს შორის. მნიშვნელოვანია, რომ ხელშეკრულების პირობები მკაფიოდ გამოხატავდეს მონაწილეთა ინტერესებს.⁵⁶

დაზღვევის პოლისში განსაზღვრულია ხელშეკრულების არსებითი პირობები: მხარეთა ვინაობა და მათი მონაცემები, დაზღვევის საგნის დასახელება, სადაზღვევო რისკი, დაზღვევის დასაწყისი და ხანგრძლივობა,

⁵⁰ შენგელია ი., სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ N4 (23), 2009, 47.

⁵¹ ჩაჩანიძე თ., სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში. ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი №3, (26), 2010, 24.

⁵² ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 92.

⁵³ ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2016, 192.

⁵⁴ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2016 წლის 11 მარტის №ას-92-88-2016 გადაწყვეტილება.

⁵⁵ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 90.

⁵⁶ შენგელია ი., სახელშეკრულებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N4 (23), 2009, 49.

სადაზღვევო თანხის ოდენობა, სადაზღვევო პრემიის ოდენობა და გადახდის პირობები.⁵⁷

მიუხედავად სადაზღვევო ურთიერთობაში მხარეთა ფიდუციური ვალდებულების არსებობისა, არის შემთხვევები, როდესაც სადაზღვევო კომპანია ცდილობს გავლენა იქონიოს ხელშეკრულების მხარაზე და თუნდაც ხელშეკრულების დადების შემდგომ, მაშინ, როდესაც უკვე სადაზღვევო შემთხვევა დგება, იგი უარს ეუბნება სადაზღვევო შემთხვევით დამდგარი ზიანის ანაზღაურებაზე იმ საფუძვლით, რომ ხელშეკრულებაში არსებული ჩანაწერი ზიანის ანაზღაურების შესახებ, არ ერგება უშუალოდ კონკრეტულ ფაქტს. ამის მაგალითად, არსებობს ერთ-ერთი გადაწყვეტილება,⁵⁸ როდესაც მზღვეველმა უარი განაცხადა სადაზღვევო შემთხვევის შედეგად ზიანის ანაზღაურებაზე და მიუთითა ხელშეკრულების პირობაზე, რომლითაც სადაზღვევო რისკი განმარტა იმ ფარგლებში, რომ თავიდან აეცილებინა ზიანის ანაზღაურება.⁵⁹ სასამართლომ, სადაზღვევო კომპანიის მითითება ხელშეკრულების ამგვარ ჩანაწერზე არ განმარტა მის სასარგებლოდ და დაეკისრა სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულება.

კერძო სამართლებრივი ურთიერთობები ეფუძნება მხარეთა დამოუკიდებლობას, პირად ინიციატივას და ინდივიდის თავისუფლებას. სამოქალაქო სამართალში თავისუფლება გამოიხატება, სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტთა თავისუფლებით, რომელთაც გააჩნიათ უფლებამოსილება დადონ ხელშეკრულება, განსაზღვრონ მათ მიერ

⁵⁷ ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, 15.03.2016, მუხ. 802, ველი 4.

⁵⁸ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2016 წლის 8 ივლისის №ას-535-511-2016 გადაწყვეტილება.

⁵⁹ საქმე ეხებოდა ქონების დაზღვევით წარმოშობილ დავას, კერძოდ, მხარეთა შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობას, რომლის მიხედვითაც დამზღვევის საგანი (შენობა, შიგთავსი, ვიტრინები და მარაგები) დაზღვეული იყო ისეთი სადაზღვევო რისკებისგან, როგორცაა: ხანძარი, აფეთქება, მეხის დაცემა, წყალდიდობა და ა.შ. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, სადაზღვევო შემთხვევა დადგა, რომელიც გამოიწვია შენობაში გაჩენილმა ხანძარმა. ადგილზე მოსული სახანძროს მიერ, წყლით დაიტბორა შენობა და მასში არსებული დაზღვეული საგანი. მზღვეველმა მიუთითა ხელშეკრულების პუნქტზე, რომლის მიხედვითაც ქონების დაზღვევის პოლისით დაფარული იყო წყლით დაზიანების მხოლოდ კონკრეტული შემთხვევები: წყალდიდობა და წყალგაყვანილობის სისტემების მწყობრიდან უეცარი და მოულოდნელი გამოსვლა. მზღვეველის მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ მაღაზია და სასაქონლო მარაგები დაზიანდა წყლის ზემოქმედების შედეგად, რომელიც გამოიყენებოდა ხანძრის ჩასაქრობად. აღნიშნული გარემოებების გამო, აღნიშნა, რომ ხელშეკრულების პუნქტებით გათვალისწინებულ პირობას ადგილი არ ჰქონია. საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ დაზღვევის ობიექტი (მოსარჩელის მართლზომიერ მფლობელობაში არსებული ფართი და დასაწყობებული ნივთები) სწორედ სადაზღვევო ხდომილების ფარგლებში დაზიანდა და ამ მხრივ, წარმოიშვა მზღვეველის ვალდებულება, რის გამოც მას ეკისრებოდა ზიანის ანაზღაურება.

დადებული ხელშეკრულების შინაარსი და პირობები. თუმცა, ხელშეკრულების თავისუფლება, აპრიორი, როდი უზრუნველყოფს სახელშეკრულებო სამართლიანობის დაცვას თანასწორუფლებიან პარტნიორებს შორის. ძლიერი მხარისათვის მარტივია მეორე მხარისათვის საკუთარი პოზიციის თავსმოხვევა. ამიტომ ხელშეკრულებები ყოველთვის ვერ იქნება ორი პარიტეტულად თანმხვედრი ნების შედეგი.⁶⁰ „სადაც მეტია უფლების ბოროტად გამოყენების ან სუსტი მხარის ინტერესების ხელყოფის შესაძლებლობა, იქ კანონის მოქმედების ასპრეზი ფართოა.“⁶¹

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, „სამოქალაქო კოდექსის 799-ე მუხლის თანახმად, მზღვეველმა სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს დამზღვევის მიმართ საკუთარი ვალდებულებების განსაზღვრისას უნდა იხელმძღვანელოს სადაზღვევო ხელშეკრულების დებულებებით.“⁶² შესაბამისად, იმისათვის, რომ უსაფუძვლოდ არ შეილახოს მხარეთა უფლებები, აუცილებელია ხელშეკრულების პირობათა განსაზღვრა ისე, რომ არ ეს პირობები არ ეწინააღმდეგებოდეს კანონს.

„მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადებისას მნიშვნელოვანია დაზღვევის ხელშეკრულების პირობების გასაგებად განსაზღვრა ისე, რომ პირობები არ იძლეოდეს მხარისათვის ორაზროვნად განმარტების საშუალებას. ზოგჯერ, ხელშეკრულების შინაარსი მთლიანად ან ნაწილობრივ ერთი კონტრაქტის შემოქმედებაა, ხოლო მეორე მხარე მხოლოდ აქცეპტს აკეთებს შეთავაზებულ პირობებზე, რა გზითაც იქმნება სტანდარტული სახელშეკრულებო დებულებები.“⁶³ ისეთი ხელშეკრულების დადებისას, როდესაც ერთი მხარე თავად ადგენს ხელშეკრულების პირობებს, არსებობს რეალური საშიშროება იმისა, რომ შეილახოს მეორე მხარის ინტერესები, სწორედ ამიტომ ბუნდოვანი პირობები ამ უკანასკნელის სასარგებლოდ

⁶⁰ ხუნაშვილი ნ., ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი და შეზღუდვა კეთილსინდისიერების საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის ჟურნალი“, N1, 2013, 270. იხ. Eckl Ch., *Treu und Glauben im spanischen Vertragsrechts, Studien zum ausländischen und internationalen Privatrecht 183. Herausgegeben vom Max-Planck-Institut für ausländisches und internationales Privatrecht, Mohr Siebeck, Tübingen, 2007, 285.*

⁶¹ ზოიძე ბ., *ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბილისი, 2005, 140.*

⁶² საქართველოს უზენაესი სასამართლოს, 2015 წლის 30 ოქტომბრის №ას-1319-1257-2014 გადაწყვეტილება.

⁶³ ჩაჩანიძე თ., სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, *ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი* №3, (26), 2010, 28.

განიმარტება.⁶⁴ თუმცა, „შემთავაზებლისგან არ შეიძლება მოვითხოვოთ ზედმეტი და მისთვის შეუძლებელი.“⁶⁵

ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისას, მნიშვნელოვანია ევროპის დაზღვევის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების გათვალისწინება, რომლის თანახმად, ყველა დოკუმენტი, რომელსაც მზღვეველი წარადგენს, უნდა იყოს გასაგები, ნათელი და გონივრული. ამასთან, მზღვეველის მიერ მიწოდებული დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს დაზღვევის ხელშეკრულების პირობებს.⁶⁶ მსგავსი ჩანაწერია მოცემული გერმანიის სადაზღვევო კონტრაქტში, რომლის თანახმად დამზღვევეს უნდა მიეწოდოს ინფორმაცია წერილობით, ნათელი და გასაგები ფორმით.⁶⁷

“დათქმა კეთილსინდისიერების შესახებ ყველა ხელშეკრულების მიმართ ვრცელდება. რაც იმას გულისხმობს, რომ არც ერთმა მხარემ არ უნდა შეაფერხოს კონტრაქტის მიერ ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულების მიღება. მაგ., დამზღვევის უფლებების შინაარსის განსაზღვრა მხოლოდ ხელშეკრულებაში მითითებული პირობებით არასწორია. მხარეთა უფლებრივი მდგომარეობა უნდა განისაზღვროს, Inter alia ნაგულისხმევი პირობებით, რომელთა შინაარსიც თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში კეთილსინდისიერების პრინციპით განისაზღვრება.”⁶⁸

ხელშეკრულების სტანდარტული პირობების არსებობისას, მნიშვნელოვანია, რომ ეს პირობები არ იყოს კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგოდ დადებული, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს სტანდარტული პირობების ბათილად ცნობის საფუძველს, რასაც ეხმიანება სსკ-ის 346-ე მუხლი. სააპელაციო სასამართლოს

⁶⁴ იოსელიანი ნ., *ხელშეკრულების განმარტება*, თბილისი, 2008, 32.

⁶⁵ რუსიაშვილი გ., *სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი*, *gccc.ge*, 21.03.2017, მუხ. 345, ველი 4, შემდგომი მითითებით: *BGH NJW*, 1982, 333.

⁶⁶ *PEICL*, Article 1:203 (1)

⁶⁷ *ICA (Insurance Contract Act), Section 62 (1) გერმანიის სადაზღვევო კონტრაქტის აქტი ძალაში შევიდა 2008 წლის პირველი იანვრიდან. მისი უმთავრესი მიზანია დამზღვევთა უფლებების დაცვა, რომელიც შეესაბამება თანამედროვე სამომხმარებლო სამართლის ცნებას. იხ. Helmut Heiss, Proportionality in the new german insurance contract act 2008, *erasmus Law Review*, Volume 5, Issue 2, (2012), 105*

⁶⁸ *ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში*, თბილისი, 2016, 59. შემდგომი მითითებით: *Comunale v. Traders & General Ins. Co.*, 50 Cal.2d 654, L.A. No. 24975. In Bank. July 22, 1958 < <http://scocal.stanford.edu/opinion/comunale-v-traders-general-ins-co-26901> >, [22.12.2015]. *შეად. Kransco, Plaintiff and Appellant; International Insurance Company et al., Plaintiffs and Respondents, v. American Empire Surplus Lines Insurance Company, Defendant and Appellant, Superior Court of the City and County of San Francisco, No. S062139. June 22, 2000.*

განმარტებით, აღნიშნული მუხლი წარმოადგენს მეორე მხარის დაცულობის გარანტს, იმ შემთხვევისთვის, როდესაც დგინდება, რომ სტანდარტული პირობა ნდობისა და კეთილსინდისიერების საწინააღმდეგოდაა დადებული და ზიანს აყენებს ხელშეკრულების მეორე მხარეს.⁶⁹

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ შემთავაზებელი არ შეიძლება დავავალდებულოთ ხელშეკრულების ყველა სტანდარტული პირობის დეტალურად და ზუსტი განმარტებით ან მისი შინაარსისა თუ სამართლებრივი შედეგების კლიენტისთვის ზუსტი ახსნით, სწორედ ამიტომ პირველ რიგში გამოიყენება განმარტების „ჩვეულებრივი“ წესები და არა 345-ე მუხლი.⁷⁰

„ხელშეკრულების სტანდარტული პირობების აღქმადობა და მისი ხელშეკრულების პირობად გადაქცევა იდენტური უნდა იყოს ხელშეკრულების მონაწილე ყველა სუბიექტისათვის გამონაკლისის გარეშე და გამონაკლისის არსებობა სწორედ მხარეთა შორის ხელშეკრულების კონკრეტული პირობების სათანადო შეუთანხმებლობაზე მეტყველებს.“⁷¹

სააპელაციო სასამართლომ, ერთ-ერთ საქმეზე,⁷² რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულებაში ხელშეკრულების სტანდარტულ პირობებს ეხებოდა მნიშვნელოვანი განმარება გააკეთა. საქმე ეხებოდა დაზღვეული პირის გარდაცვალებას, რომელიც მოხდა სამუშაო საათებში და სადაზღვევო კომპანიამ გარდაცვლილის მემკვიდრისადმი ზიანის ანაზრაურებაზე უარი დაასაბუთა იმ საფუძვლით, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტის თანახმად, კომპანია ზიანს ანაზღაურებდა მხოლოდ მისი შვებულებაში ყოფნის ან თვითდათხოვნის დროს. ამასთან, აპელანტის მითითებით, ამ შემთხვევაში სამსახურში ყოფნის ალბათობა თითქმის 100%-ი იყო, ვინაიდან გარდაცვლილი წარმოადგენდა სამხედრო მოსამსახურეს და მას ჰქონდა 24 საათიანი სამუშაო რეჟიმი. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ მზღვეველი, ხელშეკრულების მეორე მხარის ინტერესების საზიანოდ, ახდენდა ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდებას, რამდენადაც ფაქტობრივად, სადაზღვევო შემთხვევის წარმოშობისათვის მზღვეველის მიერ გარკვეული დროის მონაკვეთის (დაზღვეულის შვებულებაში ან

⁶⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2012 წლის 10 სექტემბრის, №ას-755-811-2011 გადაწყვეტილება.

⁷⁰ რუსიაშვილი გ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 21.03.207, მუხ. 345, ველი 2.

⁷¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 3 ივნისის №ას-368-349-2015 გადაწყვეტილება.

⁷² საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2012 წლის 10 სექტემბრის №ას-755-811-2011 გადაწყვეტილება.

თვითდათხოვნაში ყოფნის პერიოდი) დაწესებით, ხდებოდა სადაზღვევო თანხის გაცემის შესახებ ვალდებულების ხელოვნურად გამორიცხვა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულებაში ამგვარი პუნქტის გათვალისწინებით ხდებოდა სადაზღვევო შემთხვევის დადგენისა და გამოვლენისათვის კანონით დადგენილი კრიტერიუმების უგულებელყოფა და, აგრეთვე, მხარის ინტერესების საზიანოდ ნდობისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევა.

ერთ-ერთ ინგლისურ საქმეზე⁷³, სასამართლომ დაადგინა თუ რომელი მტკიცებულებები უნდა ჩაითვალოს ხელშეკრულების განმარტებისას. პირველი, არაფერია დაკავშირებული წერილობითი ხელშეკრულების განმარტებაზე, თუ იგი ცნობილი იყო ან არსებობდა გონივრული ვარაუდი, რომ ორივე მხარეს უნდა სცოდნოდა ხელშეკრულების დადებისას. მეორე, სასამართლო თავდაპირველად მხედველობაში იღებს უშუალოდ მხარეთა წერილობით ხელშეკრულებას და განმარტავს მხარეთა მიერ შედგენილ ხელშეკრულებას იმ ჩვეულებრივი მნიშვნელობითა და განმარტებით, რა ენაზეც აქვთ შედგენილი. შესაძლოა, ხელშეკრულებაში არსებობდეს გარკვეული „ნაპრალი“/ხარვეზი, რომლის შევსებას იგი მოწმის ჩვენების გამოყენებით შეძლებს. მესამე, „გარემომცველი გარემოებები“, შესაძლებელია გაითვალისწინოს სასამართლომ იმისათვის, რომ დაადგინოს რატომ დაიდო ხელშეკრულება და რა იყო მხარეთა მიზანი. მეოთხე, დაუშვებელია, რომ მხარეთა მოლაპარაკებას მიაწეოს პრიორიტეტი ვიდრე დადებულ ხელშეკრულებას.

2.2.1 დამზღვევის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრის მნიშვნელობა სადაზღვევო ურთიერთობებში

„დაზღვევის ხელშეკრულების განმარტებისას მნიშვნელოვანია დამზღვევის სამართლებრივი სტატუსის გათვალისწინება. სადაზღვევო პრაქტიკაში ერთმანეთისგან გამიჯნულია კომერციული დაზღვევისა (Commercial insurance) და მომხმარებელთან დადებული კონტრაქტები (Adhesion Contract). სწორედ განსხვავებული სამართლებრივი ბუნების გამო, ისინი სხვადასხვა ტიპის სამართლებრივი მოწესრიგების საგნებს წარმოადგენენ. გამომდინარე აქედან, არაგონივრულია ერთგვაროვანი მიდგომების გამოიყენება ორ განსხვავებულ შემთხვევაში, როდესაც: ერთი მხრივ, დამზღვევს წარმოადგენს მეწარმე და, მეორე მხრივ, „გამოუცდელი“ მომხმარებელი. პირველ შემთხვევაში მხარეებს შორის მოლაპარაკების გზით მიიღწევა ხელშეკრულების პირობების დეტალური განსაზღვრა. არამეწარმე

⁷³ *New Hampshire Insurance v MGN The Times* (28 July 1995), *ob.* <https://www.lawteacher.net/cases/new-hampshire-insurance-v-mgn.php>

დამზღვევისთვის კი უმთავრესად გამოიყენება სტანდარტული ხელშეკრულებები, რომელთა შინაარსის და პირობების ზუსტი აღქმა მომხმარებლისთვის ხშირად პრობლემურია. გამომდინარე აქედან, არამიზანშეწონილი იქნება არამეწარმე დამზღვევი მივიჩნიოთ ინფორმირებულ დამზღვევად და საკუთარი ინტერესის დაცვის უნარის მქონე კონტრაქტად. კონტრაქტების ასეთი არათანაბარი მდგომარეობა გარკვეულ შემთხვევაში გავლენას ახდენს მტკიცების ტვირთის, მიზეზობრივი კავშირისა და სხვა მნიშვნელოვანი გარემოების განსაზღვრაზე.⁷⁴

გასათვალისწინებელია დაზღვევის ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელი ინფორმაციული ასიმეტრიის ორმხრივი ბუნება, რომელიც დამზღვევის ინფორმაციულ უპირატესობასაც ნიშნავს. ცხადია, ხელშეკრულების დადების ეტაპზე მეწარმე სუბიექტი მეტ ინფორმაციას ფლობს მის მიერ შეთავაზებული სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესახებ. თუმცა, ასეთი მსჯელობით, დამზღვევის განხილვაც, შესაძლებელია, ინფორმაციულად უპირატეს მდგომარეობაში მყოფ კონტრაქტად.⁷⁵

სახელშეკრულებო წონასწორობა არის თანასწორობის პრაქტიკული გამოვლინება. იგი მხარეთა შორის უფლება-მოვალეობების სამართლიან გადანაწილებაზე მიუთითებს და წარმოიშობა მაშინ, როდესაც კონტრაქტები თანაბარი უფლება-მოვალეობების მქონენი არიან.⁷⁶ სახელშეკრულებო წონასწორობის არსებობისას, მყარდება სახელშეკრულებო სამართლიანობა, რაც სახელშეკრულებო წონასწორობის დამყარებასაც გულისხმობს.⁷⁷ სახელშეკრულებო წონასწორობას საფრთხე მაშინ ექმნება, როდესაც ირღვევა უფლება-მოვალეობათა ეკვივალენტურობა.⁷⁸ „როგორც წესი, ხელშეკრულებიდან წარმოშობილი მხარეთა უფლება მოვალეობები უნდა განიმარტოს თითოეული მათგანის კერძო ავტონომიის ფარგლებში.“⁷⁹ თუმცა, ისეთ სახელშეკრულებო ურთიერთობებში, როცა ერთ-ერთი მხარე ფლობს აშკარა უპირატესობას მეორესთან მიმართებით, სუსტი მხარის

⁷⁴ ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, 14.03.2016, მუხ. 799, ველი 51. შემდგომი მითითებით: Squires, *Recent Development: Autopsy of a Plain English Insurance Contract: Can Plain English Survive Proximate Cause?* 1984, 6.

⁷⁵ ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 94.

⁷⁶ ჩაჩანიძე თ., სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში, *ქურნალი მართლმსაჯულება და კანონი* №3, (26), 2010, 23-24.

⁷⁷ იქვე.

⁷⁸ იქვე.

⁷⁹ ლაკერბაია თ., ხელშეკრულების უარყოფის უფლება: ქართული და სახელშეკრულებო სამართლის შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2016, 21.

ინტერესები პრიორიტეტული ხდება და განსაკუთრებული დაცვის ქვეშე ქცევა.⁸⁰

სამოქალაქო კოდექსის 810-ე მუხლის განმარტებისას, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების მოშლას ეხება ინფორმაციის შეუტყობინებლობის გამო, მნიშვნელოვანია ყურადღება მიექცეს დამზღვევის სამართლებრივ სტატუსს, ვინაიდან განსხვავება არსებობს არა მხოლოდ მეწარმე და არამეწარმე დამზღვევის შორის, არამედ თავად არამეწარმე პირებს შორისაც. განმასხვავებელი ნიშანი კი შეიძლება იყოს მათი ასაკი, ინტელექტი და ა.შ. გამომდინარე აქედან, აღნიშნული ნორმა უფრო მეტად მეწარმე დამზღვევის უფრო მიესადაგება, რომელსაც კონტრაქტების უფრო მეტი გამოცდილება აქვს. არამეწარმე დამზღვევისთვის უფრო რთული იქნება მზღვეველის მიერ არასრულყოფილად ფორმულირებულ კითხვაში, ამოიცნოს მისი ნაგულისხმევი კითხვა. შესაბამისად, არამეწარმე დამზღვევთან მიმართებით მუხლის განმარტებისას, გათვალისწინებულ უნდა იქნას მზღვეველის ვალდებულება შეკითხვის გასაგებად და ერთაზროვნად ჩამოყალიბების შესახებ.⁸¹ ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ 810-ე მუხლი დამზღვევის განზრახ დუმილზე მიუთითებს. ნაკლებად შესაძლებელია, არამეწარმე დამზღვევმა ივარაუდოს იმის შესახებ, რომ მზღვეველის მიერ წარდგენილი კითხვარის შევსებისას მას ევალებოდა დამატებითი გარემოებების გამჟღავნების ვალდებულება.⁸²

„მოლაპარაკების დროს ერთმა მხარემ შეიძლება თავს მოახვიოს მეორე მხარეს ხელშეკრულების შინაარსი. შეიძლება მეორე მხარე „თვალდახუჭული“ დათანხმდეს ხელშეკრულების პირობებს საქმეში „ნაკლები გამოცდილების გამო“⁸³ ხელშეკრულების პირობების ბუნდოვანების შემთხვევაში, სსკ-ის 345-ე მუხლის შესაბამისად, ის აუცილებლად უნდა განიმარტოს მეორე მხარის სასარგებლოდ. აღნიშნული ნორმის მიზნად მიჩნეულია სტანდარტული პირობების შემთავაზებელის იძულება, რომ მან ნათელი და არა ორაზროვანი დებულებები შეიტანოს სტანდარტულ პირობებში, ანუ ისეთი პირობები, რომლებიც გასაგები იქნება საშუალო დონის მომხმარებლისათვის.⁸⁴ „სსკ-ის 345-ე მუხლში დაფიქსირებული

⁸⁰ იქვე.

⁸¹ ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, *gccc.ge*, 15.03.2016, მუხ. 810, ველი 3.

⁸² იქვე.

⁸³ ზოიძე ბ., *ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში*, თბილისი, 2005, 293.

⁸⁴ ჭანტურია ლ., *საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი*, წიგნი III, თბილისი, 2001, 192.

ბუნდოვანების წესის გამოყენებისათვის აუცილებელია, რომ სტანდარტული პირობის შემთავაზებელი ამავედროულად ხელშეკრულების მხარეც იყოს.⁸⁵

მზღვეველი წარმოადგენს პირს, რომელიც უკეთესადაა ინფორმირებული და ხელშეკრულების დადებისას უკეთეს პოზიციაში იმყოფება, იმ თვალსაზრისით, რომ მაქს შესაძლებლობა აქვს თავიდან ააცილოს დამზღვევეს საკუთარი უფლებების დარღვევა. ეს პოზიცია კი მზღვეველს აკისრებს პასუხისმგებლობას. მეორეს მხრივ, არსებობს ვალდებულებები, რომლების თავად დამზღვევეს აკისრიადა სწორედ ამიტომ კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებს ორივე მხარის მიმართ პროპორციულ მიდგომას.⁸⁶ „მოწესრიგებული სამოქალაქო ბრუნვის დამკვიდრება მხოლოდ გარკვეული შეზღუდვების გზითაა შესაძლებელი. ის შეზღუდვები, რაც თან ახლავს სახელშეკრულებო თავისუფლებას, სრულიად ნორმალურია და ფასეულობათა სოლიდარობითაა გამოწვეული, რაც იმას გულისხმობს, რომ თავისუფლება არსებობს მხოლოდ კანონით დადგენილი წესრიგის ფარგლებში“⁸⁷

მომხმარებელთან დადებულ სადაზღვევო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით არსებობს ინგლისის ერთ-ერთი საინტერესო საქმე, რომელიც ეხება გრძელვადიან სადაზღვევო ურთიერთობას, რომლითაც დაზღვეული იყო ძვირფასეულობა. მზღვეველმა ძვირფასეულობის დანაკარგით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა არ დაუკმაყოფილა დამზღვევეს იმ საფუძველით, რომ მან არ შეატყობინა სადაზღვევო კომპანიის მეუღლის არაერთი ნასამართლეობის შესახებ, რომელიც არსებითი იყო სადაზღვევო ხელშეკრულებისთვის. სასამართლომ გაიზიარა მზღვეველის მოსაზრება და დამზღვევის მეუღლის ნასამართლეობა მიიჩნია არსებით გარემოებად, რომლის მიწოდების ვალდებულებაც მას გააჩნდა მზღვეველის მიმართ.⁸⁸

⁸⁵ რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 21.03.2017, მუხ. 345, ველი 3. შემდგომი მითითებით: Becker, in Beck OK BGB, 45. Aufl., 2016, § 305cRn. 41.

⁸⁶ Tiggele –van der Velde N., introduction: Insurance law and evolving sanctions – about a new balance in the mutual obligations of both parties to a contract of insurance and a new system sanctions, 5 erasmus, L. Rev. 93 (2012), 93.

⁸⁷ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბილისი, 2005, 286.

⁸⁸ Lambert v Cooperative Insurance Society Ltd. 1963 წელს ქალბატონმა ლამბერტმა დააზღვია ოჯახის ძვირფასეულება ერთ-ერთ სადაზღვევო კომპანიაში. ის სადაზღვევო პოლისს ყოველ წელს ანახლებდა. 9 წლის შემდეგ, მან წარუდგინა პრეტენზია ოქროულის დაკარგვის შესახებ. სადაზღვევო კომპანიამ უარი უთხრა თანხის ანაზღაურებაზე იმ საფუძველით, რომ ქალბატონმა ლამბერტმა არ გაუმჟღავნა სადაზღვევო კომპანიას თავისი მეუღლის ადრინდელი კრიმინალური დანაშაულების შესახებ. მზღვეველს არასდროს უკითხავს

ინგლისის სადაზღვევო სამართალში, სამომხმარებლო დაზღვევის ხელშეკრულების აპლიკანტი, ვალდებულია სათანადოდ უზრუნველყოს ის, რომ არ შეიყვანოს შეცდომაში მზღვეველი. ეს ნიშნავს იმას, რომ მზღვეველმა უნდა დაუსვას კითხვები აპლიკანტს. ხოლო, ბიზნეს სადაზღვევო ხელშეკრულების შემთხვევაში კი, აპლიკანტი ვალდებულია მაშინვე გაამჟღავნოს რელევანტური ფაქტები.⁸⁹ გაუმჟღავნელობა გულისხმობს მარცხს კომუნიკაციაში მატერიალური ინფორმაციის მიწოდებისას კონკრეტული პიროვნებებისთვის, რომლებიც აზღვევენ რისკს.⁹⁰

უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა ერთ-ერთ საქმეზე უთითებს 325-ე მუხლის ანალიზისას განმარტავს, რომ მზღვეველი წარმოადგენს ხელშეკრულების პირობების შემთავაზებელ მხარეს, რომლის დროსაც აუცილებელია ხელშეკრულების პირობები განისაზღვროს სამართლიანობის პრინციპის საფუძველზე. აღნიშნული ემსახურება „სუსტი მხარის“ დაცვას, რომელსაც მზღვეველთან შედარებით, ნაკლებად აქვს შესაძლებლობა, მოახდინოს გავლენა ხელშეკრულების პირობების განსაზღვრაზე. გამომდინარე აქედან, სასამართლოს ანალიზით, ხელშეკრულების ტექსტით ბოჭვის მიუხედავად, სახელშეკრულებო პირობის განმარტება სამართლიანობის საფუძველზე უნდა მოხდეს.⁹¹

იურიდიულ ლიტერატურაში მართებულად აღნიშნავენ, რომ „მწარმოებელი, როგორც სამოქალაქო ბრუნვის გამოცდილი მონაწილე მომხმარებელთან, როგორც განსაკუთრებული დაცვის ინტერესის მქონე

ქალბატონი ლამბერტისთვის კრიმინალური დანაშაულის შესახებ, თუმცა ინფორმაციის მიწოდებაც მას შეეძლო იმ განაცხადით, რომელიც პირველად შეავსო და ასევე მაშინ, როდესაც ყოველწლიურად ანახლებდა სადაზღვევო პოლისს. სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ სადაზღვევო კომპანია უფლებამოსილი იყო უარი ეთქვა ქალბატონი ლამბერტის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე, მიუხედავად იმისა, რომ მან ვერ გაანალიზა ის, რომ სადაზღვევო კომპანიას სურდა ცოდნოდა აღნიშნული გარემოების შესახებ. სასამართლოს თქმით, ქალბატონი ლამბერტისთვის ნაკლებად სავარაუდო იყო ის, რომ მას აუცილებლად უნდა მიეწოდებნა ქმრის სასამართლეობის შესახებ ინფორმაცია. ამასთან ის არ არის მზღვეველი და სავარაუდოდ, არც გამოცდილება ექნებოდა ასეთ საკითხებში. მოპასუხე კომპანია იმოქმედებდა სამართლიანად თუ პრინციპის საკითხად მიიჩნევდა, რომ მისთვის უნდა გადაეხადათ. საწინააღმდეგო შემთხვევაში ეს შეიძლება უგულო ქმედებად შეფასდეს. იხ: *Insurance contract law, misrepresentation, non-disclosure and breach of warranty by the insured*, 3.

⁸⁹ Engel K., Hendrikse M., *Pre-Contractual Fraud in Insurance Contract Law*, 6 EJCCL 33 (2014), 34.

⁹⁰ Clarke M., 5 EJCCL 1 (2013) 1.

⁹¹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2014 წლის 20 ოქტომბრის №698-668-2014 გადაწყვეტილება.

პირთან, მიმართებით, არ შეიძლება იმავე სამართლებრივ რეჟიმში მოქმედებდეს, როგორც სხვა ხელშეკრულების მხარეებთან მიმართებით”.⁹²

ხელშეკრულების გაფორმებისას, პირი, რომელიც სტანდარტული პირობების შემდგენია, ყოველთვის უპირატეს მდგომარეობაში იმყოფება, როდესაც, მომხმარებელზე უფრო კარგად ერკვევა საკითხის არსსში. მაგალითად, დაზღვევის ხელშეკრულებას, უნდა ჰქონდეს ტერმინთა განმარტების მქონე დათქმები. ეს აუცილებელია, რადგანაც, ასეთ შემთხვევაში მომხმარებელი უფრო მეტად აცნობიერებს სახელშეკრულებო პირობების მნიშვნელობას და ამით ხდება მისი კერძოსამართლებრივი უფლების დაცვა.⁹³

ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზეც, რომ მიუხედავად მეწარმე პირის გამოცდილ სადაზღვევო სუბიექტედ მიჩნევისა, გამოუცდელ მომხმარებელთან შედარებით, „მზღვეველის კეთილსინდისიერება უდაოდ მნიშვნელოვანია მეწარმე დამზღვევთან ხელშეკრულების დადების დროსაც, ვინაიდან სადაზღვევო საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით მზღვეველი ინფორმაციულ უპირატესობას მეწარმე დამზღვევთან კონტრაქტების დროსაც ფლობს.“⁹⁴

სადაზღვევო ხელშეკრულების სპეციფიკიდან გამომდინარე, მხარე, რომელსაც მეტი ეკონომიკური რესურსი აქვს, შეეცდება „აიძულოს“ მისი მომავალი კონტრაქტი, რომ ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის დროს პასიური როლი შეასრულოს და მხოლოდ შეთავაზებულ სახელშეკრულებო პირობებს დათანხმდეს, რა დროსაც ერთ-ერთი კონტრაქტი მოიპოვებს „სახელშეკრულებო უპირატესობას“.⁹⁵

2.3 სავალდებულო და ნებაყოფლობითი დაზღვევის გამიჯვნა

თანამედროვე სადაზღვევო ურთიერთობებში ერთმანეთისაგან განსახვავებენ სავალდებულო და ნებაყოფლობით დაზღვევას. საქართველოს

⁹² ჩაჩავა ს., *მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში*, თბილისი, 2010, 133.

⁹³ ჯორბენაძე ს., *სახელშეკრულებო თავისუფლების ფარგლები* სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2016, 202-203.

⁹⁴ ირემაშვილი ქ., *მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში*, თბილისი, 2016, 72.

⁹⁵ ჩაჩანიძე თ., *სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში*, *ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი* №3, (26), 2010, 26.

კანონის „დაზღვევის შესახებ“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად „დაზღვევა ხორციელდება ნებაყოფლობითი და სავალდებულო ფორმებით“.

სავალდებულო დაზღვევას საჯარო სამართალი არეგულირებს და კანონის საფუძველზე წარმოიშობა. „სავალდებულო დაზღვევისას მზღვეველი ვალდებულია დადოს ხელშეკრულება დამზღვევთან კანონით განსაზღვრული პირობებით. მზღვეველს უფლება აქვს შესთავაზოს დამზღვევს ამ უკანასკნელისათვის კანონით დადგენილზე უფრო ხელსაყრელი პირობები.“⁹⁶ ამასთან, თუ პირი, რომლის მიმართაც კანონის ძალით უნდა განხორციელდეს სავალდებულო დაზღვევა, არ არის დაზღვეული, მას უფლება აქვს სასამართლო წესით მოსთხოვოს დაზღვევის განხორციელება დამზღვევს, რომელსაც დაკისრებული აქვს მისი დაზღვევის ვალდებულება.⁹⁷ რაც შეეხება ნებაყოფლობით (კერძო) დაზღვევას, მას სსკ არეგულირებს. თუმცა, სსკ-ის 801-ე მუხლი მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსის 799-858-ე მუხლები შეიძლება გამოყენებულ იქნეს სავალდებულო დაზღვევის მოსაწესრიგებლადაც.⁹⁸

სავალდებულო დაზღვევა არის დაზღვევის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც დაზღვევის ობიექტი, სახეობები და განხორციელების წესი განისაზღვრება შესაბამისი კანონით სავალდებულო დაზღვევის შესახებ.⁹⁹ „ნებაყოფლობითი დაზღვევა ხორციელდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ნებაყოფლობითი დაზღვევის სახეობები, პირობები და განხორციელების წესი დგინდება მზღვეველსა და დამზღვევს შორის დადებული ხელშეკრულებით.“¹⁰⁰

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, „დაზღვევა არის ურთიერთობა ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად გარკვეული გარემოების (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომისას ამ პირთა მიერ გადახდილი სადაზღვევო შენატანებით (სადაზღვევო პრემიებით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე.“¹⁰¹ ხოლოსადაზღვევო საქმიანობა არის „მზღვეველის საქმიანობა,

⁹⁶ საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“, მუხლი 5, პუნქტი 5.

⁹⁷ საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“, მუხლი 6, პუნქტი 1.

⁹⁸ ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 14-15.

⁹⁹ საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“, მუხლი 5, პუნქტი 4.

¹⁰⁰ საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“, მუხლი 5, პუნქტი 2.

¹⁰¹ საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტი.

დაკავშირებული დაზღვევისა და გადაზღვევის ხელშეკრულებების დადებასა და განხორციელებასთან.¹⁰²

სავალდებულო დაზღვევის ხელშეკრულება არ წარმოადგენს სამოქალაქო ხელშეკრულებას, ვინაიდან ასეთ ურთიერთობა უგულებლყოფს დამზღვევის ნებას ასეთ ურთიერთობაში მონაწილეობაზე. აქედან გამომდინარე, იგი საჯარო-სამართლებრივი ხასიათისაა.¹⁰³ სავალდებულო დაზღვევის აუცილებელი პირობაა ამგვარი დაზღვევის განხორციელებისთვის სპეციალური კანონის მიღება და კანონის საფუძველზე დამზღვევისთვის კონკრეტული სახის სავალდებულო დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების მოვალეობის დაკისრება.¹⁰⁴

3. დაზღვევის ხელშეკრულების მხარეები

„დაზღვევის განხორციელებისათვის საჭიროა მინიმუმ, ორი მხარის არსებობა (მზღვეველი და დამზღვევი).“¹⁰⁵

მხარეები ხელშეკრულების დადებისთანავე იბოჭებიან სახელშეკრულები პირობებით და ვალდებულნი არიან კეთილსინდისიერად განახორციელონ სადაზღვევო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანი, დაზღვევის ორივე მხარის მიერ უფლება-მოვალეობების სათანადოდ განსაზღვრა და შეთანხმება. მხარეთა ერთ-ერთ უმთავრეს და მნიშვნელოვან ვალდებულებას ინფორმაციის სწორად და გასაგებად მიწოდება წარმოადგენს. ეს კი გულისხმობს როგორც წინასახელშეკრულებო, სახელშეკრულებო და სადაზღვევო შემთხვევის დადგომის ეტაპს. მხარეებს, ისევე როგორც ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევაში, აკისრიათ „განსაკუთრებული გულწრფელობის“ ვალდებულება.¹⁰⁶

¹⁰² საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“ მე-3 მუხლის მეორე პუნქტი.

¹⁰³ ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 15.

¹⁰⁴ ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 17.

¹⁰⁵ ქეცაია ე., დაზღვევის სამართალურთიერთობის სუბიექტები და ობიექტი, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, №4 (43) 2014, 84.

¹⁰⁶ ნოზაძე ი., „ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისუფლება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამართლის ჟურნალი, №1 2017, 173.

„დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის¹⁰⁷ თანახმად, მზღვეველი არის ა) სააქციო საზოგადოების ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია სადაზღვევო საქმიანობის განსახორციელებლად და რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიღებული აქვს დაზღვევის შესაბამისი სახეობის განხორციელების ლიცენზია; ბ) ეკონომიკური განვითარებისა და ურთიერთთანამშრომლობის ორგანიზაციის (OECD) წევრ ქვეყნებში რეგისტრირებული და შესაბამისი ორგანოების მიერ ლიცენზირებული სადაზღვევო და გადაზღვევის ორგანიზაციების მიერ საქართველოში დაფუძნებული ფილიალი (წარმომადგენლობა), რომელიც რეგისტრირებულია ფილიალის (წარმომადგენლობის) რეგისტრაციისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. ეს კანონი, დაზღვევის ხელშეკრულების მეორე მხარედ განსაზღვრავს დამზღვევს, დაზღვეულსა და მოსარგებლეს.

„დამზღვევი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელმაც დადო დაზღვევის ხელშეკრულება მზღვეველთან;“¹⁰⁸ დაზღვეული – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომლის მიმართაც ხორციელდება დაზღვევა. დამზღვევი შეიძლება იმავდროულად იყოს დაზღვეული, თუ დაზღვევის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული; ¹⁰⁹

მოსარგებლე – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულების ან სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონმდებლობის თანახმად იღებს სადაზღვევო ანაზღაურებას.¹¹⁰

„მზღვეველს შეუძლია განახორციელოს სადაზღვევო საქმიანობა დაზღვევის აგენტისა და სადაზღვევო ბროკერის მეშვეობით.“¹¹¹ „დაზღვევის აგენტი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც მოქმედებს მზღვეველის დავალებით და სახელით, მისთვის მზღვეველის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. დაზღვევის აგენტის მიერ მიღებული სადაზღვევო შენატანი ითვლება მზღვეველის მიერ მიღებულ სადაზღვევო შენატანად.“¹¹² ხოლო, სადაზღვევო ბროკერი არის ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რეგისტრირებულია სამსახურში და დამოუკიდებლად

¹⁰⁷ საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“ მე-2 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

¹⁰⁸ საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“ მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტი.

¹⁰⁹ საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“, მეორე პუნქტი, „ე“ ქვეპუნქტი.

¹¹⁰ საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“, მეორე პუნქტი, „ვ“ ქვეპუნქტი.

¹¹¹ საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“ მუხლი 12, პუნქტი 1.

¹¹² საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“ მუხლი 12, პუნქტი 2.

ახორციელებს დაზღვევის სფეროში სამუდამო საქმიანობას, როგორც თავისი სამეწარმეო საქმიანობის სახეობას. სადაზღვევო ბროკერი ვალდებულია საქმიანობის დაწყებამდე განცხადებით მიმართოს სამსახურს და გაიაროს რეგისტრაცია.¹¹³ ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ სადაზღვევო ბროკერი და დაზღვევის აგენტი ვალდებული არიან დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას შეატყობინონ მზღვეველს მათთვის ცნობილი ყველა გარემოების შესახებ, რომელთაც მნიშვნელობა აქვს დაზღვევის ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობებისათვის.¹¹⁴

4. სადაზღვევო ურთიერთობის პრინციპები

სადაზღვევო ხელშეკრულება იდება „uberrima fides“¹¹⁵ პრინციპის საფუძველზე, რაც იმას ნიშნავს, რომ მხარეებს ვალდებულნი არიან მოიქცნენ უაღრესად კეთილსინდისიერად.¹¹⁶ ეს არის მხარის ვალდებულება - გაამჟღავნოს და ხელმისაწვდომი გახადოს ხელშეკრულების მეორე მხარისათვის ყველა რელევანტური ფაქტი იმისათვის, რომ სწორად შეაფასოს მზღვეველმა ის, თუ რისი დაზღვევის ვალდებულებას იღებს.¹¹⁷ თემის შინაარსიდან და მიზნებიდან გამომდინარე, პრინციპების განხილვისას მსჯელობა შეეხება კეთილსინდისიერების და contra proferentem პრინციპს.

4.1 კეთილსინდისიერების პრინციპი

ნებისმიერი კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადება ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს. აღნიშნული პრინციპი სამოქალაქო კოდექსის უმთავრესი პრინციპია, სწორედ ამიტომ სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეები ვალდებულნი არიან თავიანთი უფლება-მოვალეობები განახორციელონ კეთილსინდისიერად.¹¹⁸ ეს სამოქალაქო ურთიერთობის მონაწილეთა ზნეობრივ მოვალეობადაც მიიჩნევა.¹¹⁹ კეთილსინდისიერების ვალდებულება არის ორმხრივი

¹¹³ საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“ მუხლი 12, პუნქტი 3.

¹¹⁴ საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“ მუხლი 12, პუნქტი 6.

¹¹⁵ ლათ., uberrimae fidei / uberrima fides – „ნდობის მაღალი ხარისხი“; „ტერმინი ყველაზე ხშირად გამოიყენება დაზღვევის ხელშეკრულებასთან მიმართებით. გამომდინარე იქიდან, რომ მზღვეველი ინაწილებს დაზღვეულის დანაკარგის რისკს, სავალდებულოა, რომ დაზღვეულმა იმოქმედოს კეთილსინდისიერად და შეატყობინოს მზღვეველს ყველა მისთვის ცნობილი გარემოება, რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საფრთხის ან დაზღვევით გათვალისწინებული შემთხვევის დადგომისათვის.“ იხ: <http://gil.mylaw.ge/ka/term/56760.html>

¹¹⁶ Forte A. D. M. “Good Faith in contract and property” oxford-portland Oregon, 1999, 81.

¹¹⁷ იქვე.

¹¹⁸ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მე-3 ნაწილი

¹¹⁹ ჯანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 107.

მხარეთათვის, რომელიც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობას როგორც დამზღვევის, ისე მზღვეველის მხრიდან.¹²⁰

დაზღვევის დოქტრინაში კეთილსინდისიერების პრინციპის უმთავრეს გამოხატულებად დამზღვევის ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მიიჩნეოდა. კეთილსინდისიერების პრინციპის ასეთი განმარტება ობიექტური გარემოებებით იყო განპირობებული. სადაზღვევო საქმიანობის განვითარების საწყის ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის უტყუარი და სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას მიენიჭა, რამდენადაც ეს აუცილებელი იყო სადაზღვევო კომპანიების ფუნქციონირებისთვის.¹²¹

„სამოქალაქო კოდექსის სულისკვეთებიდან გამომდინარე, რაც ასევე წარმოადგენს საქართველოს საჯარო წესრიგს - ხელშეკრულების დადების თავისუფლების პრინციპს, გვერდით უდგას კეთილსინდისიერებისა და სახელშეკრულებო სამართლიანობის პრინციპი, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელია ახალი ქცევის წესისა თუ სტანდარტების ჩამოყალიბება“¹²²

კეთილსინდისიერების პრინციპი ხელშეკრულების მხარეთაგან მოითხოვს ლოიალურობის გამოჩენას ერთმანეთის ინტერესების მიმართ, რის გამოც ხელშეკრულებას იმაზე მეტი ფუნქცია აქვს, ვიდრე მხოლოდ ვალდებულებების შესრულების სამართლებრივი საფუძველი.¹²³

დაზღვევის ხელშეკრულება ოდითგანვე მიეკუთვნებოდა კეთილსინდისიერების პრინციპზე დაფუძნებულ ხელშეკრულებათა რიცხვს.¹²⁴ სიტყვა „კეთილსინდისიერება“ გულისხმობს და მოიზრებს სამართლიანობას, მიზანშეწონილობას, ეთიკურობას, ზნეობრიობას და გულწრფელობას.¹²⁵ „კეთილსინდისიერების დოქტრინა (Treu und Glauben) არის უმნიშვნელოვანესი საკითხი გერმანულ სახელშეკრულებო

¹²⁰ Clarke M., *The london insurance market*, 7 *EJCCCL* 97 *European journal of commercial Contract law* 2015-3, 95.

¹²¹ ირემაშვილი ქ., *მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში*, თბილისი, 2016, 59. შემდგომი მითითებით: Merkin R., Rodger A., *EC Insurance Law*, Longman, 1997, 29.

¹²² საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2014 წლის 20 ოქტომბრის №698-668-2014 გადაწყვეტილება.

¹²³ ხუნაშვილი ნ., *კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში*, თბილისი 2014, 87.

¹²⁴ ირემაშვილი ქ., *მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში*, თბილისი, 2016, 59.

¹²⁵ კერესელიძე დ., *კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები*, თბილისი, 2009, 86.

სამართალში.¹²⁶ კეთილსინდისიერება სწორედ ამ გერმანული დოქტრინის ეკვივალენტურია.¹²⁷ მართალია, მხარეებს მინიჭებული აქვთ, როგორც ხელშეკრულების დადების თავისუფლება, ასევე ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლება¹²⁸, თუმცა სამოქალაქო სამართალი კეთილსინდისიერების, ე.ი. კეთილი ნების პრეზუმფციას განამტკიცებს, რაც იმას ნიშნავს, რომ ურთიერთობის მონაწილეები თავიანთ უფლებებს კეთილსინდისიერად უნდა ახორციელებდნენ, ამიტომ კეთილსინდისიერება მხარეთა მოვალეობაცაა.¹²⁹

„კეთილსინდისიერების პრინციპი აღიარებულ იქნა „სამეფო ნორმად“, რომლის ამოცანაც იყო გერმანიის მთელი სამართლის „მორალიზაცია“, იგი მოქმედებს როგორც „სუპერნორმა“, რომელიც სხვა სამართლის ნორმების მოდიფიცირებასაც ახდენს.“¹³⁰

დაზღვევის ხელშეკრულებაც უპირველესად მოითხოვს მხარეთა მიერ კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვას. „დაზღვევის ხელშეკრულება ეფუძნება კეთილსინდისიერების პრინციპს. პატიოსნების უმაღლესი ხარისხი მოეთხოვება ხელშეკრულების ორივე მხარეს სხვა ტიპის ხელშეკრულებების მხარეებთან შედარებით.“¹³¹ კეთილსინდისიერების პრინციპი ავალდებულებს დაზღვევის ხელშეკრულების მხარეებს, გულისხმიერებით მოეკიდონ ერთმანეთის ინტერესებს ხელშეკრულების მიმართ და არ დააბრკოლონ აღნიშნული ინტერესების რეალიზაცია.¹³²

¹²⁶ ნოზაძე ი., ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისებურება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის ჟურნალი“, №1, 2017, 167. შემდგომი მითითებით: Beatson T., Friedmann D., *Good Faith and Fault in Contract Law*, Oxford, New York, 2002, 171.

¹²⁷ ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, N1, 2007, 46.

¹²⁸ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 89.

¹²⁹ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 86.

¹³⁰ იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით სამართლებრივი გამოკვლევა), ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, 2007, 12.

¹³¹ ნოზაძე ი., ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისებურება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის „სამართლის ჟურნალი“, №1, 2017, 170. შემდგომი მითითებით: Rejda G.E., *Principles of Risk Management and Insurance*, 10th ed., United States of America, 2008, 181.

¹³² ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 60. შემდგომი მითითებით: Jerry R., *Richmond D.*, 179.

„კეთილსინდისიერების პრინციპი, სსკ-ის მე-8 და 361-ე მუხლების მიხედვით, მოითხოვს მხარეთა შორის ურთიერთნდობის (ლათ. fiducia) არსებობას და მხარეთა ვალდებულებას - უპირობოდ დაიცვან სამოქალაქო ბრუნვის წესები. აქედან გამომდინარე, მათ ურთიერთობაში მოქმედებს კეთილსინდისიერების პრეზუმფცია, ე.ი. ყოველი ურთიერთობა ემყარება ვარაუდს, რომ პარტნიორები კეთილსინდისიერად მოქმედებდნენ და იმოქმედებენ, სანამ დაინტერესებული მხარე საპირისპიროს არ დაამტკიცებს. მხარეთა მოლოდინი და ნდობა, ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე იყოს გონივრული და კონკრეტული.“¹³³

კეთილსინდისიერების პრინციპი ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს ევროპის სახელშეკრულებო სამართალში.¹³⁴ განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარედ გამოუცდელი ფიზიკური პირი გვევლინება და ისეთი ხელშეკრულების დადებისას, როდესაც გამოცდილი სადაზღვევო კომპანია სთავაზობს მათ მიერ არაერთგზის შესწავლილ სტანდარტულ პირობებს, იგი ხელშეკრულების სუსტ მხარედ გვევლინება. ასეთ დროს კანონმდებელი აბალანსებს მხარეთა შორის არსებულ ურთიერთობებს იმით, რომ ხელშეკრულების ძლიერ მხარეს აკისრებს განსაზღვრულ ვალდებულებებს და სუსტ მხარეს ანიჭებს სპეციალურ უფლებებსა და უპირატესობას. სუსტი მხარის სამართლიანი ინტერესი ისაა, რომ მისთვის არ უნდა იყოს სავალდებულო კეთილსინდისიერების პრინციპის საწინააღმდეგო ხელშეკრულება ან ხელშეკრულების ცალკეული პირობა. შესაბამისად, მას უნდა მიენიჭოს ამგვარი ხელშეკრულებით ან რომელიმე სახელშეკრულებო პირობის საფუძველზე მისთვის დაკისრებული ვალდებულებებისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება. ამასთან, ბონა ფიდე არ იცავს გულუბრყვილოვას, ამიტომ მხოლოდ გონივრული მოლოდინის გაწილება გამოიწვევს სამართლებრივ შედეგს.“¹³⁵

ინგლისის ერთ-ერთ ცნობილ საქმეზე,¹³⁶ ლორდმა მანსფილდმა, ყურადღება გაამახვილა კეთილსინდისიერების პრინციპის ანუ მხარეთა

¹³³ ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა №1, 2007, 48.

¹³⁴ Basedow J., Bird J., Clarke M., Cousy H., Heiss H, *Principles of European Insurance Contract Law (PEICL)*, 2009, 44.

¹³⁵ ხუნაშვილი ნ., ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი და შეზღუდვა კეთილსინდისიერების საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის ჟურნალი, №1, 2013, 275.

¹³⁶ Carter V Boehm (1766) იხ: https://en.wikipedia.org/wiki/Carter_v_Boehm ასევე, იხ: <http://www.professionalrisk.com.au/pages/information/insurance-principles/utmost-good-faith.php>

მაღალი ნდობის მნიშვნელობაზე (*ubberrimae fidei*) და დაადგინა, რომ დამზღვევი იყო მზღვეველის მიმართ იმ ვალდებულების მქონე, რომ კეთილსინდისიერად მიეწოდებინა ყველა ფაქტი რომელიც მატერიალური იყო რისკისთვის. მისი განმარტებით, სადაზღვევო ხელშეკრულება დაფუძნებულია ვარაუდზე და აქვს სპეკულაციური ხასიათი. მზღვეველი ენდობა დამზღვევის მიერ განცხადებულ ფაქტებსა და გარემოებებს და სჯერა, რომ არ დამალავს ისეთ მნიშვნელოვან ინფორმაციას რომელიც მან იცის. გამომდინარე აქედან, მზღვეველს უწევს სწორედ დამზღვევის მიერ წარდგენილი ინფორმაციის საფუძველზე, შეაფასოს რისკი. კეთილსინდისიერება ორივე მხარეს უკრძალავს ერთმანეთისთვის მნიშვნელოვანი ფაქტების დამალვას, რომელიც გარიგების დადებისთვის არსებითია. არ შეიძლება მხარე დუმდეს და შევიდეს სახელშეკრულებო ურთიერთობაში მნიშვნელოვანი ფაქტის იგნორირებით.

Ubberima fides პრინციპი მხარეებს ორ ძირითად ვალდებულებას აკისრებს: მზღვეველმა მაქსიმალურად უნდა მიაწოდოს დამზღვევს ყველანაირი ინფორმაცია ხელშეკრულების დადებამდე და ნათლად განუმარტოს მხარეს, რომ დამზღვევი ვალდებულია გაამჟღავნოს ყველა არსებითი გარემოება, რომელიც ხელშეკრულებისთვის მნიშვნელოვანია; მხარეები ვალდებულნი არიან, რომ თქვან სიმართლე და არ დაუმალონ ერთმანეთს ინფორმაცია, რომელიც რელევენტურია ხელშეკრულებისთვის.¹³⁷ აღნიშნული პრინციპი არსებობა და მნიშვნელობა სადაზღვევო ურთიერთობებისთვის, აისახა *Rozanes v. Bowen*¹³⁸ საქმეზე, რომელშიც სასამართლომ თქვა, რომ მხარეებს გააჩნიათ ერთმანეთის მიმართ ნდობის მაღალი ხარისხი და უნდა გაამჟღავნონ მხარეთათვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

„კეთილსინდისიერების პრინციპი ბევრწილად დაკავშირებულია მორალურ სტანდარტებთან. იგი თავად არის მორალური სტანდარტი, ეთიკურ-სამართლებრივი პრინციპი“.¹³⁹ თანამედროვე სახელშეკრულებო

¹³⁷ *Insurable Interest and Property Insurance Policy* *ob.* <https://www.lawteacher.net/free-law-essays/commercial-law/insurable-interest-and-property-insurance-policy-commercial-law-essay.php>

¹³⁸ *Rozanes v. Bowen* (1928), *ob.*

https://www.researchgate.net/publication/269114207_In_Terms_of_Utmost_Good_Faith_the_Law_of_Insurance_Imposes_Strict_Obligation_on_the_Insured_as_Compared_to_the_Insurer_A_Literature_Review

¹³⁹ იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში (შედარებით სამართლებრივი გამოკვლევა), ჟურნალი „ქართული სამართლის მიმოხილვა“, სპეციალური გამოშვება, 2007, 32.

სამართლის ამოცანა „სახელშეკრულებო სამართლიანობის დამყარებაა“.¹⁴⁰ აგრეთვე, დაიცვას ხელშეკრულების შედარების სუსტი მხარე, მოსთხოვოს მეორე მხარეს ხელშეკრულების მონაწილის ინტერესების გათვალისწინება და „აიძულოს“ ორივე მათგანი თანამშრომლობასა და გულისხმიერებაზე დააფუძნონ სახელშეკრულებო ურთიერთობები.¹⁴¹ ამდენად, დაზღვევის ხელშეკრულების კეთილსინდისიერად შესასრულებლად აუცილებლად უნდა შესრულდეს მხარეთა მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.

„სამოქალაქო კოდექსის 815-ე მუხლის პირველი ნაწილის, 817-ე, 818-ე მუხლების, მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ სამოქალაქო სამართალურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმების ამოსავალი წერტილია ბუნებითი სამართლიანობის აღდგენა, შესაბამისად, სამოქალაქო სამართალბრუნვაში ქცევის სტანდარტის განმსაზღვრელია სამართლიანობა, კეთილსინდისიერება და ზნეობრიობა. კერძოსამართლებრივ ურთიერთობათა კეთილსინდისიერად წარმართვის ვალდებულებას სამოქალაქო კოდექსის არა ერთი ნორმა ზოგჯერ პირდაპირ ადგენს, ხოლო ნორმათა უმრავლესობა, მართალია, პირდაპირ არ უთითებს მასზე, მაგრამ მაინც მას ეფუძნება. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია სამართლიანი შედეგების დადგომა და ამავე დროს, აშკარად უსამართლო შედეგის თავიდან აცილებაა, რაც პირდაპირ უკავშირდება სამოქალაქო ურთიერთობათა სტაბილურობასა და სიმყარეს. კანონმდებელი სადაზღვევო ურთიერთობაში მზღვეველს, როგორც დაზღვევის ხელშეკრულების ძლიერ მხარეს ანიჭებს აქტიურ როლს, რაც მისთვის გარკვეული უფლებების განსაზღვრაში გამოიხატება. შესაბამისად, სადაზღვევო კომპანიამ კანონმდებლის მიერ მისთვის მინიჭებული უფლებები კეთილსინდისიერად უნდა გამოიყენოს და სადაზღვევო ურთიერთობის ფარგლებში არ უნდა შექმნას დამზღვევისათვის უარესი პირობები.“¹⁴²

4.2 პრინციპი *contra proferentem*

„ხელშეკრულების დადების თავისუფლება, როგორც კერძო სამართლის მნიშვნელოვანი გამოხატულება, არის შესაძლებლობა დადოს ან არ დადოს პირმა ესა თუ ის ხელშეკრულება, შეარჩიოს მისთვის სასურველი

¹⁴⁰ ჩაჩანიძე თ., სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში. ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი №3, (26), 2010, 24.

¹⁴¹ იქვე.

¹⁴² თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2021 წლის 21 ნოემბრის №28/3080-12 გადაწყვეტილება.

კონტრაპენტი და ხელშეკრულების მეორე მხარესთან შეთანხმებით თავისუფლად განსაზღვროს ამ ხელშეკრულების შინაარსი.¹⁴³

Contra proferentem პრინციპის მიხედვით, მხარემ, რომელმაც ხელშეკრულების პირობა ან მთლიანად ხელშეკრულება ცალმხრივად ჩამოაყალიბა, უნდა ატაროს მასთან დაკავშირებული ნაკლის რისკი. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ აღნიშნული წესი ვრცელდება როგორც ხელშეკრულების შემდგენზე, ისე მომსახურების მიმწოდებელზე.¹⁴⁴ მზღვეველის ვალდებულება - გარკვევით და ერთაზროვნად ჩამოაყალიბოს ხელშეკრულების პირობები - გულისხმობს როგორც შინაარსობრივად გამართული და ერთაზროვანი ტექსტის შედგენას, ისე მისი ვიზუალური აღქმადობის ხარისხის უზრუნველყოფასაც. ხელშეკრულების განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი პირობების, მაგალითად, დაზღვევის გამონაკლისი პირობების, თვალსაჩინოებისათვის საჭიროა მათი განსხვავებული შრიფტით და მუქი ნაბეჭდით გამოკვეთა.¹⁴⁵

ასეთი ლოგიკით, გაუმართლებელია დაზღვევის გამონაკლისი პირობების არაამომწურავი ჩამონათვალის სახით ფორმირება. კერძოდ, „და სხვა“ დათქმის გამოყენებით მზღვეველი წინასწარვე გამორიცხავს ნებისმიერი რისკის რეალიზაციის შედეგად დამდგარი ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობას, რომელიც არ ექცევა არც დაზღვევის დაფარვისა და არც გამონაკლისი პირობების ქვეშ. ამასთან, contra proferentem ვრცელდება არა მხოლოდ ხელშეკრულების ტექსტზე, არამედ მზღვეველის მიერ დამზღვევისათვის მიწოდებულ ნებისმიერ დოკუმენტსა თუ ინფორმაციაზე.¹⁴⁶ აღნიშნული პრინციპის გავრცელების არეალთან დაკავშირებით მიუთითებენ, რომ გასათვალისწინებელია ყოველი კონკრეტული შემთხვევის გარემოებები. კერძოდ, რაც უფრო ნაკლები შესაძლებლობა ენიჭება მხარეს ხელშეკრულების პირობის ჩამოყალიბებაში, მით უფრო მეტად უნდა განიმარტოს ის მის სასარგებლოდ.¹⁴⁷

¹⁴³ ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, 93.

¹⁴⁴ ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 53. შემდგომი მითითებით: Bar C., Clive E., Schulte-Nölke H., Beale H., Herre J., Huet J., Storme M., Swann S., Varul P., Veneziano A., Zol F., 591-592.

¹⁴⁵ ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 53. შემდგომი მითითებით: Cannar K., 13.

¹⁴⁶ ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 53 PEICL, 1:203 2

¹⁴⁷ ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 54. შემდგომი მითითებით: UNIDROIT Principles 2010, Article 4.6. (Contra Proferentem Rule) available at: <

როდესაც მზღვეველის მიერ მიწოდებულ დოკუმენტსა თუ ინფორმაციაში ჩნდება ეჭვი გარკვეული სიტყვების მნიშვნელობასთან დაკავშირებით, საჭიროების შემთხვევაში, დოკუმენტში მითითებული ჩანაწერი უნდა განიმარტოს დამზღვევის, დაზღვეულისთვის ან ბენეფიციარისთვის სასარგებლოდ.¹⁴⁸

5. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების მნიშვნელობა

დაზღვევის ხელშეკრულების ხასიათიდან გამომდინარე, სადაზღვევო ურთიერთობებში მნიშვნელოვანი სწორედ მხარეთა მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების შესრულებაა. დაზღვევის ხელშეკრულების მხარეთათვის მნიშვნელოვანია ხელშეკრულების პირობები განისაზღვროს ნათლად და გასაგებად, არ აქვს მნიშვნელობა დამზღვევი კომერციული პირი იქნება თუ გამოუცდელი მომხარებელი. ხელშეკრულების პირობები ისე უნდა განისაზღვროს, რომ ორივე მხარის მიერ შესაბამისად განიმარტოს. სადაზღვევო ხელშეკრულება დაფუძნებულია მხარეთა მიერ ინფორმაციულ ასიმეტრიაზე, რომელსაც გარკვეული რისკი ახასიათებს.¹⁴⁹

მზღვეველი უფლებამოსილია წინასახელშეკრულებო ეტაპზე დამზღვევისგან მიიღოს ყველა ის ინფორმაცია, რომლის საფუძველზეც, შემდგომში დადებს ხელშეკრულებას. თავის მხრივ, დამზღვევი სახელშეკრულებო ურთიერთობაში რომ შევიდეს მზღვეველთან, საკუთარი ნებით აკეთებს არჩევანს, გასცეს თუ არა ინფორმაცია.¹⁵⁰ აგრეთვე, მნიშვნელოვანია მზღვეველის მიერ დამზღვევის ინფორმირება, მისი ნების ნამდვილობის უზრუნველსაყოფად. ხელშეკრულების დადებისას, დამზღვევს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს ხელშეკრულების არსი. ასეთ დროს, განსაკუთრების მნიშვნელოვანია, დამზღვევმა სწორად გაიგოს და გაიაზროს სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის წესი. ეს, რა თქმა უნდა, მოიცავს სადაზღვევო დაფარვას და ყველა იმ გამონაკლის პირობას, რომელიც მზღვეველის ვალდებულების შეზღუდვას ეხება.¹⁵¹ ინფორმაცია შეიძლება მიეწოდოს არა მხოლოდ კონტრაქტის პირების შესახებ, არამედ მესამე პირზეც, რომელიც არ არის ამ სახელშეკრულებო ურთიერთობის თანაზიარი,

<http://www.unidroit.org/instruments/commercial-contracts/unidroit-principles-2010/398-chapter-4-interpretation/936-article-4-6-contraproferentem-rule>, >[29.12.2015].

¹⁴⁸ PEICL, Article 1:203 (2)

¹⁴⁹ Merkin B., Steele J., *Insurance and the law of obligations*, Oxford University Press, 2013, 38.

¹⁵⁰ მოწონელიძე ნ., თანამედროვე ბიომედიცინის როლი სადაზღვევო სამართალში, სამართლის ჟურნალი, №2, 2013, 122.

¹⁵¹ ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 76.

თანამონაწილე, მაგრამ არის მოსარგებლე (მესამე პირის სასარგებლოდ დადებული ხელშეკრულება).¹⁵²

იმისათვის, რომ დაკმაყოფილდეს წინასახელშეკრულებო მოვალეობა ინფორმაციის გამჟღავნების კუთხით, დამზღვევმა უნდა გაამხილოს გარკვეული ინფორმაცია, რომელიც რისკისთვის იქნება მატერიალური, რათა შემდგომში მზღვეველის მიერ იქნას დაზღვეული. მატერიალური ფაქტის საკითხმა დიდი დებატები გამოიწვია მე-20 საუკუნეში. თავდაპირველი დებატები, 1975 წლამდე, იყო იმაზე თუ რამდენად იყო ფაქტი ან გარემოება მატერიალური, რომელიც გავლენას ახდენდა „გონიერი მზღვეველის“ (Prudent Insurer) ან „კეთილგონიერი დამზღვევის“ (“Reasonable Insured”) შეფასებაზე, რომელიც მჟღავნებოდა დამზღვევის მიერ ხელშეკრულების დადებისას.¹⁵³

გერმანულ, შვეიცარულ და ფრანგულ სადაზღვევო სამართალში, სადაზღვევო აპლიკანტს არ აქვს ვალდებულება სპონტანურად/მაშინვე გაამჟღავნოს რელევანტური ფაქტები მზღვეველისთვის. მზღვეველი, შეიძლება ითქვას, იძულებულია (კანონის შესაბამისად) დაუსვას შეკითხვები აპლიკანტს სადაზღვევო კონტრაქტის წინასახელშეკრულებო ეტაპზე.¹⁵⁴

ბელგიის სადაზღვევო სამართალში სადაზღვევო აპლიკანტი ვალდებულია გაამჟღავნოს რელევანტური ფაქტები მაშინვე. ნიდერლანდების სადაზღვევო სამართალში (Article 7:928, para 1.BW¹⁵⁵), მოცემულია იგივე წესები, თუმცა ერთ-ერთი მუხლი (para. 6) უზრუნველყოფს იმას, რომ თუ სადაზღვევო კონტრაქტი იდება ძირითადად მზღვეველის კითხვარით, აპლიკანტი პასუხობს მზღვეველის წერილობით კითხვარს და მეტს არაფერს, ამასთან, არ მოქმედებს იმ განზრახვით, რომ შეცდომაში შეიყვანოს მზღვეველი (subpara. 3.3).¹⁵⁶

გამჟღავნების მოვალეობა მხარეთათვის ერთგვარ ხაფანგსაც წარმოადგენს. ბევრი დამზღვევი, უმეტესად მომხმარებელი და მცირე ბიზნესის წარმომადგენლები, კარგად არ არიან გაცნობიერებულნი იმაში, რომ

¹⁵² ნოზაძე ი., ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისუფლები, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევაში, ინავე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 184. შემდგომი მითითებით: Martin A., Hurley P., *Introduction to the Law of Contracts*, 4th ed., USA, 2008, 521.

¹⁵³ Thanasegaran H., *Good faith in insurance and takaful contracts in MalaYsia a comparative perspective*, 2016, 54-55.

¹⁵⁴ Engel K., Hendrikse M., *Pre-Contractual Fraud in Insurance Contract Law*, 6 EJCCL 33 (2014), 33.

¹⁵⁵ *Burgerlijk Wetboek* (ნიდერლანდების სამოქალაქო კოდექსი).

¹⁵⁶ Engel K., Hendrikse M., *Pre-Contractual Fraud in Insurance Contract Law*, 6 EJCCL 33 (2014), 34.

მათ აკისრიათ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება. მაშინაც კი, როდესაც იაზრებენ ამ მოვალეობის შესახებ, ისინი მხოლოდ სუბიექტურად აღიქვამენ რელევანტური ინფორმაციის არსს და მხოლოდ ამის შესახებ აწვდიან ინფორმაციას მზღვეველს.¹⁵⁷

„დაზღვევის ხელშეკრულებაში ინფორმაციული ასიმეტრიის სუსტ მხარედ შეიძლება ორივე კონტრაქტის განიხილებოდეს.“¹⁵⁷ აქედან გამომდინარე, ინფორმაციული ასიმეტრია დაზღვევის ხელშეკრულების ორივე მხარეს მნიშვნელოვან უპირატესობას აძლევს კონტრაქტისას. კერძოდ, დაზღვევის ობიექტთან მიმართებით დამზღვევი უპირატეს ინფორმაციულ მდგომარეობაშია, ვიდრე მზღვეველი, რის გამოც აკისრებს მას კანონმდებელი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას. თავის მხრივ, რისკის შეფასებისა და სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის წინაპირობების შესახებ მზღვეველი მეტ სტრატეგიულ ინფორმაციას ფლობს, ვიდრე დამზღვევი. შესაბამისად, კეთილსინდისიერი ქცევის სტანდარტი მზღვეველს ხელშეკრულების დადებისას დამატებით ვალდებულებებს აკისრებს.¹⁵⁸

სადაზღვევო ურთიერთობა ეფუძნება მხარეთა ურთიერთნდობასა და კეთილსინდისიერებას. სწორედ ამიტომაც, რომ საზღვარგარეთის ქვეყნების კანონმდებლობით, დამზღვევი ვალდებულია, ნებაყოფლობით შეატყობინოს მზღვეველს ყველა იმ მნიშვნელოვანი და არსებითი გარემოებების შესახებ, რომლებმაც, შესაძლებელია, გავლენა იქონიონ მათ შორის დადებული დაზღვევის ხელშეკრულების შესრულებაზე. ხშირად დამზღვევის მიერ მიწოდებული ინფორმაცია განსაზღვრავს დაზღვევის ხელშეკრულების ძირითად პირობებს და, შესაბამისად, ასეთი ხელშეკრულების დადების ბედსაც.¹⁵⁹

მხარეთა მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება უნდა შესრულდეს როგორც წინარესახელშეკრულებო პერიოდისას, ისე სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში. „წინასახელშეკრულებო ვალდებულებები არის ხელშეკრულების მხარის მიმართ ხელშეკრულებით განსაზღვრული ან კანონით დადგენილი წესები, რომლებიც სუბიექტური უფლების, ე.ი. ნამდვილი უფლების, წარმოშობის

¹⁵⁷ *The law Commission Consultation paper No 182 and The Scottish Law Commission discussion paper paper No 134, Insurance contract law: misrepresentation, non-disclosure and breach of warranty by the insured*, 3.

¹⁵⁸ ირემაშვილი ქ., *მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში*, თბილისი, 2016, 18.

¹⁵⁹ ცისკაძე მ., *ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება*, თბილისი, 2001, 28.

წინაპირობას ქმნის. ნამდვილ უფლებებში კი იგულისხმება სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დაზღვეულის მიერ სადაზღვევო ანაზღაურების მოთხოვნის უფლება.¹⁶⁰

ერთ-ერთ საქმეზე,¹⁶¹ ბანკმა გასცა სესხი იმ ქონებაზე, რომელზეც მსესხებელმა მიუთითა უზრუნველყოფისთვის. ამასთან, მხარემ აიღო სადაზღვევო პოლისი, რათა თავიდან აეცილებინა რისკები, რომელიც ახლავდა ქონების რეალიზაციას. მსესხებელმა არ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება, რამაც გამოავლინა ის გარემოება, რომ მან თაღლითურად და არაზუსტად შეაფასა ქონება. მხარე ცდილობდა თავიდან აეცილებინა სადაზღვევო თანხის გადახდა, გააჩნდა რა ნდობა ხელშეკრულებაში ჩადებული თაღლითობის გამომრიცხველი პუნქტის მიმართ. ამ დავის დროს, მოსარჩელემ მოიპოვა მტკიცებულება სხვა დამოუკიდებელი თაღლითობასთან დაკავშირებით, რომლის შესახებ მხარეს არ განუცხადებია. მოსარჩელე დაობდა, რომ მხარეს გააჩნდა ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება და ასეთ შემთხვევაში ისინი არ ენდობოდნენ ბროკერს და სესხის ხელშეკრულებსაც არ გააფორმებდნენ, რაც თავიდან ააცილებდათ მომავალ დანაკარგებს. ლორდთა პალატამ დაადგინა, მიზეზობრივი კავშირის არარსებობა. იმ შემთხვევაშიც კი თუ მხარე გაამჟღავნებდა ინფორმაციას, სადაზღვევო პოლისი გაუქმდებოდა თაღლითობის გამომრიცხველი პუნქტის საფუძველზე. მხოლოდ ის ფაქტი, რომ მხარემ იცოდა, რომ მოსარჩელე არ გააფორმებდა სესხის ხელშეკრულებას, არ არის საკმარისი დარღვევის დასამტკიცებლად. გადაწყვეტილების დასკვნით დებულებებში პალატამ იგულისხმა, რომ ინფორმაციის გამჟღავნების ვალდებულება არსებობდა.

ინფორმაცია მოითხოვს აპლიკანტის მიერ მიწოდებული ყველა ფაქტის შეგროვებას, რომელიც არის მნიშვნელოვანი რისკის განსაზღვრისთვის.¹⁶² მატერიალური ფაქტი მოიცავს ყველა იმ გარემოებას, რომელიც გავლენას ახდენს ნებისმიერ გონიერ მზღვეველზე, სწორად განსაზღვროს პრემიის ოდენობა ან მიიღოს გადაწყვეტილება დაზღვევის შესახებ.¹⁶³ ერთ-ერთი გადაწყვეტილების თანახმად, „გონიერ მზღვეველად“ მიიჩნეოდა ტიპური მზღვეველი. ამ მოსაზრების საპირისპიროდ, კი, ბევრ სხვა საერთო

¹⁶⁰ მოწონელიძე ნ., თანამედროვე ბიომედიცინის როლი სადაზღვევო სამართალში, ინავე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი №2, 2013, 120.

¹⁶¹ *Banque Keyser Ullman v Skandia ob.* <https://www.lawteacher.net/cases/banque-keyser-ullmann-v-skandia.php>.

¹⁶² *Clarke M., Developments on Insurance Law in England: Precontractual Information Duties and Warranties, 5 EJCCL 1, 2013, 1*

¹⁶³ *Clarke M., Developments on Insurance Law in England: Precontractual Information Duties and Warranties, 5 EJCCL 1, 2013, 1*

სამართლის ქვეყნებში, ისევე, როგორც შოტლანდიაში, მითითებულია არა „გონიერი მზღვეველი“ არამედ, „კეთილგონიერი დამზღვევი“.¹⁶⁴

გონიერი მზღვეველის გავლენა შესაძლებელია არ იყოს გადაწყვეტი იმ გაგებით, რომ თუ კონკრეტული ფაქტი გამომჟღავნდა, მზღვეველი უარს იტყვის რისკზე ან მხარეს განსხვავებულ პირობებს შესთავაზებს.¹⁶⁵ საკმარისია, რომ გონიერ მზღვევს მიჩნეული ჰქონდეს ეს გარემოება რელევანტურად.¹⁶⁶ თუმცა, რა თქმა უნდა, არსებობს რელევანტურობის ხარისხიც,¹⁶⁷ რომელსაც ყველაზე რაციონალური ადამიანებიც კი, შესაძლებელია, განსხვავებულად აფასებდნენ იმას თუ რა არის მნიშვნელოვანი და რელევანტური რისკისთვის.¹⁶⁸

5.1 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ხელშეკრულების დადებისას საქართველოსა და უცხო ქვეყნების მაგალითზე

5.1.1. მზღვეველის ვალდებულება ხელშეკრულების დადებისას

ევროპის დაზღვევის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებში გათვალისწინებულია მზღვეველის წინასახელშეკრულებო ვალდებულებები.

წინასახელშეკრულებო ეტაპზე მიღებული არსებითი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე იღებს მზღვეველი გადაწყვეტილებას, როგორი პირობებით დადოს ხელშეკრულება დამზღვევთან და საერთოდ, დადოს თუ არა კონკრეტული დაზღვევის ხელშეკრულება.¹⁶⁹

ზოგჯერ, მხარეები ერთმანეთს უმაღლეს იმედიან ფაქტს, რომელმაც, შესაძლებელია, არსებითი გავლენა იქონიოს ნების გამოვლენაზე ხოლო თუ ერთ-ერთ მხარეს გამორჩა მისთვის ცრუ ან აუცილებელი ინფორმაციის მიწოდების ფაქტი ნების გამოვლენამდე, მაშინ შემდეგ ეტაპზე იგი შეიძლება

¹⁶⁴ Clarke M., *Developments on Insurance Law in England: Precontractual Information Duties and Warranties*, 5 EJCCL 1, 2013, 1.

¹⁶⁵ Clarke M., *Developments on Insurance Law in England: Precontractual Information Duties and Warranties*, 5 EJCCL 1, 2013, 1.

¹⁶⁶ Clark M., *Developments on Insurance Law in England: Precontractual Information Duties and Warranties*, 5 EJCCL 1, 2013, 1

¹⁶⁷ Clarke M., *Developments on Insurance Law in England: Precontractual Information Duties and Warranties*, 5 EJCCL 1 (2013) p 1; ერთ-ერთი ავსტრალიური საქმის თანახმად, „განსხვავება ისაა, თუ რამდენად რელევანტურია ჰიპოთეტური ფაქტი, იმისათვის, რომ ის უნდა გამჟღავნდეს და უნდა შეაფასოს მზღვეველმა დააზღვიოს თუ არა ეს რისკი“ ციტირებულია: *Barclay Holdings (Australia) Pty Ltd v. British National Ins. Co. Ltd (1987) 8 NSWLR 514, 523.*

¹⁶⁸ Clark M., *Developments on Insurance Law in England: Precontractual Information Duties and Warranties*, 5 EJCCL 1, 2013, 1

¹⁶⁹ ცისკაძე მ., *ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება*, თბილისი, 2001, 28.

საკუთარ კონტრაქტთან შედარებით „არათანაბარ“ მდგომარეობაში აღმოჩნდეს.¹⁷⁰

სადაზღვევო ხელშეკრულებით მზღვეველი იღებს ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, დამზღვევის ან მესამე მხარის მიმართ, შესაბამისი პრემიის გადახდის საფუძველზე.¹⁷¹ მზღვეველმა უნდა უზრუნველყოს დამზღვევის მიმართ წერილობითი დოკუმენტაციის სახით, სადაზღვევო პოლისის გადაცემა.¹⁷²

მზღვეველი ვალდებულია სადაზღვევო პოლისის გაფორმებამდე დამზღვევს მიაწოდოს განუმარტოს ყველა საჭირო ინფორმაცია მიწოდებული დოკუმენტაციის სახით. ეს კი გულისხმობს ყველა რელევანტური ინფორმაციის მიწოდებას, რომლის ცოდნაც საჭიროა სადაზღვევო ხელშეკრულების მხარისათვის. ეს უკანასკნელი კი უნდა მიეწოდოს მხარეს გასაგებად და ნათლად. დოკუმენტაციის მიწოდება მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ხელშეკრულების სწორად დადებას და მტკიცებულების არსებობას.¹⁷³

უპირველესად, მზღვეველის მიერ უზრუნველყოფილი უნდა იყოს წინასახელშეკრულებო დოკუმენტები. მზღვეველმა დამზღვევს უნდა გადასცეს ხელშეკრულების ასლი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს მის მიერ შემოთავაზებული პირობები, აგრეთვე დოკუმენტი, რომელშიც მითითებული იქნება შემდეგი გარემოებები: ხელშეკრულების მხარეთა დასახელება და მათი მისამართები, მათ შორის მზღვეველის ოფისის მისამართი, ან ფილიალის მისამართი, სადაც სადაც მხარის მიერ შესაძლებელი იქნება ხელშეკრულების დადება და თანხის დაფარვა; დამზღვევის სახელი და მისამართი, ხოლო სიცოცხლის დაზღვევის შემთხვევაში, დაზღვეულის (მოსარგებლის) მისამართი. სადაზღვევო აგენტის სახელი და მისამართი; დაზღვევის ობიექტის და სადაზღვევო რისკის მითითება; სადაზღვევო თანხის ოდენობა და ფრანშიზა¹⁷⁴; სადაზღვევო პრემიის ოდენობა და მისი გამოანგარიშების წესი; პრემიის

¹⁷⁰ ჩაჩანიძე თ., სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში. ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი №3, (26), 2010, 26.

¹⁷¹ ICA section 1.

¹⁷² ICA section 3 (2).

¹⁷³ Koch R., German reform of insurance contract law, 2 EJCCL 163, 2010, 165.

¹⁷⁴ სადაზღვევო პრაქტიკაში მხარეებმა, შესაძლებელია, განსაზღვრონ არაანაზღაურებადი ზიანის ლიმიტი ან, შესაძლებელია, ზიანის ანაზღაურება დაუკავშირდეს გარკვეულ პირობას. ამიტომ, სადაზღვევო ხელშეკრულების მხარეთა მიერ გამოიყენება დათქმა პირობითი და უპირობო ფრანშიზის შესახებ. იხ. ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 14.03.2016, მუხ. 799, ველი 29.

გადახდის დრო, ადგილი და წესი; ხელშეკრულების პერიოდი, მათ შორის ხელშეკრულების შეწყვეტის წესი და პასუხისმგებლობის პერიოდი. მითითება ევროპის დაზღვევის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპებზე; სასამართლოს გარეშე დამზღვევის მიერ საჩივრის შეტანის წესი; ინფორმაცია საგარანტიო ფონდებსა და საკომპენსაციო საშუალებებზე;¹⁷⁵ თუ შესაძლებელია, დამზღვევს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობების შესახებ ინფორმაცია უნდა მიეწოდოს იმ ვადით, რომ გონივრულად მიიღოს გადაწყვეტილება გააფორმოს თუ არა მზღვეველთან ხელშეკრულება.¹⁷⁶ როდესაც დამზღვევს მზღვეველის მიერ მიეწოდება განაცხადის ფორმა ან კითხვარი, მზღვეველმა განმცხადებელს აუცილებლად უნდა გადასცეს შევსებული დოკუმენტის ასლი.¹⁷⁷

სამოქალაქო კოდექსი, დაზღვევის ხელშეკრულების თავში, მზღვეველს ზემოაღნიშნულ ვალდებულებას, კერძოდ კი დამზღვევისათვის სადაზღვევო პოლისის გადაცემას, 802-ე მუხლით აკისრებს: „მზღვეველი მოვალეა ჩააბაროს დამზღვევს ხელმოწერილი საბუთი დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ (სადაზღვევო მოწმობა-პოლისი).

დამზღვევმა, შესაძლებელია, უარი თქვას ხელშეკრულების დადებისას ინფორმაციის მიწოდებაზე, რადგან სურს პოლისის დროულად გაფორმება და ფიქრობს, რომ არ საჭიროებს უფრო ფართო და ვრცელ ინფორმაციას. მაგ., მისთვის ცხადია პოლისის პირობები ან მას პოლისის შესახებ მიღებული აქვს ინფორმაცია. ამ უფლების გამოყენების უარის შემთხვევაში, ამის შესახებ სათანადო ჩანაწერი უნდა გაკეთდეს ხელშეკრულებაში. იმ შემთხვევაში თუ მხარე ინფორმაციის მიღებაზე უარს აცხადებს სატელეფონო ან სხვა საკომუნიკაციო საშუალებით, რომლის დროსაც არ ხდება მასთან წერილობითი განმარტება, ინფორმაცია მას დაუყოვნებლივ უნდა მიეწოდოს სადაზღვევო პოლისის შესახებ. უფრო მეტიც, სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში, დამზღვევი აუცილებლად უნდა ინფორმირდეს ნებისმიერი ცვლილების შესახებ, რომელიც შევა სადაზღვევო პოლისში. დამატებითი მოთხოვნები ეხება პირადი დაზღვევის სექტორს, კერძოდ ჯანმრთელობის დაზღვევას. ნებისმიერი მარცხს, რომელსაც მზღვეველი განიცდის ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით, არ იქონიებს სადაზღვევო ხელშეკრულების არანაირ ეფექტს მანამ, სანამ ამის შესახებ არ განაცხადებს დამზღვევი, რომელის გაცხადების ვადაც მისთვის შეუზღუდავია. თუ

¹⁷⁵ PEICL, Article 2:201 (1).

¹⁷⁶ PEICL, Article 2:201 (2).

¹⁷⁷ PEICL, Article 2:201 (3).

დამზღვევს ზიანი მიადგა მზღვეველის შეცდომის გამო, მას უფლება აქვს მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება.¹⁷⁸

გერმანიის სადაზღვევო აქტის თანახმად, შესაძლებელია, ინფორმაცია დამზღვევს ზეპირადაც მიეწოდოს თუ მოისურვებს. ასეთ შემთხვევაში, ინფორმაცია დაზღვევით დაინტერესებულ პირს უნდა გადაეცეს სადაზღვევო პოლისთან ერთად. აღნიშნული არ ვრცელდება სავალდებულო დაზღვევაზე.¹⁷⁹

მნიშვნელოვანია, რომ მზღვეველის მიერ ინფორმაციის მოპოვების უფლებამოსილებება, ფართოდ იქნეს განამარტებული, რაც გულისხმობს არა მხოლოდ სადაზღვევო რისკისა და შედეგის შესაფასებლად მნიშვნელოვან მონაცემებს, არამედ სხვა არსებითად მნიშვნელოვან ინფორმაციასაც. არსებითია ყველა ისეთი გარემოება, რომელიც დაზღვევის ხელშეკრულებისთვის სამართლებრივი მნიშვნელობის მქონეა, ასევე ინფორმაცია, რომელიც ანიჭებს მზღვეველს ხელშეკრულებიდან გასვლის ან ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის შესაძლებლობას.¹⁸⁰

სადაზღვევო კომპანიებს გარკვეული სახის დაზღვევისათვის შემუშავებული აქვთ წერილობითი კითხვარი საფრთხის გარემოებების შესახებ, დამზღვევის უმთავრეს მოვალეობას კი ამ კითხვებზე სწორი პასუხის გაცემა წარმოადგენს. ხშირად ასეთი კითხვარები ზოგად ხასიათს ატარებს. „თუ შენობის დაზღვევისათვის შედგენილი კითხვარი მხოლოდ შენობის სადაზღვევო შეფასებას შეეხება და სხვა გარემოებების შესახებ არ დასმულა კითხვა, დამზღვევი მაინც მოვალეა მისთვის ცნობილი გარემოებები შეატყობინოს სადაზღვევო კომპანიას, ხოლო თუ დამზღვევმა იცის შენობის ავარიულობის შესახებ და განზრახ დუმს, მაშინ ამის თაობაზე შეკითხვის არარსებობის მიუხედავად, მზღვეველს უფლება აქვს მოშალოს ხელშეკრულება.“¹⁸¹

მზღვეველის კეთილსინდისიერება ეხება როგორც, ხელშეკრულების პირობების ერთაზროვანი და მომხმარებლისთვის გასაგები ენით ჩამოყალიბებას, ისე – მის ინფორმირებას წინასახელშეკრულებო ეტაპზე თუ

¹⁷⁸ Koch R., *German reform of insurance contract law*, 2 EJCCL 163, 2010, 168.

¹⁷⁹ ICA, Section 62 (2).

¹⁸⁰ მოწონელიძე ნ., თანამედროვე ბიომედიცინის როლი სადაზღვევო სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელწიფო უნივერსიტეტი, სამართლის ჟურნალი №2, 2013, 120.

¹⁸¹ ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 30.

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში.¹⁸² ტექსტის სიცხადეზე პასუხისმგებელია შემთავაზებელი და არა მეორე მხარე, რაც გულისხმობს იმას, რომ ვისგანაც მოდის ინიციატივა, ისაა უარყოფითი შედეგებზე პასუხისმგებელი.¹⁸³

დამზღვევის მოვალეობას დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას წარმოადგენს, მზღვეველისათვის წინასახელშეკრულებო ინფორმაციის მიწოდება, რომელიც უმეტესად მითითებულია გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობაში, როგორც გამჟღავნების მოვალეობა და მოხნიებულია, კეთილსინდისიერების მოვალეობად. გაერთიანებულ სამეფოში, დამზღვევის მთავარ მოვალეობად მიიჩნევა ინფორმაციის გამჟღავნება წინასახელშეკრულებო ეტაპზე, რომელიც გამომდინარეობს კეთილსინდისიერად მოვალეობიდან.¹⁸⁴

კეთილსინდისიერების პრინციპის დაცვა მოეთხოვება მზღვეველს შეკითხვის დასმის დროს. ორაზროვნად ან გაურკვეველად დასმულმა კითხვამ შეიძლება შეცდომაში შეიყვანოს დამზღვევი და გასცეს არასწორი პასუხი, რაც მოგვიანებით, შესაძლებელია, გახდეს მზღვეველის მხრიდან არაკეთილსინდისიერი ქმედების საფუძველი.¹⁸⁵

5.1.2 დამზღვევის ვალდებულება ხელშეკრულების დადებისას

მხარეთა შორის ხელშეკრულების დადებისას ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ეკისრება როგორც მზღვეველს, ისე დამზღვევს.

სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისას დამზღვევის კეთილსინდისიერება, გულისხმობს მზღვეველისათვის დაზღვევის ობიექტთან დაკავშირებული უტყუარი და სრულყოფილი ინფორმაციის მიწოდებას.¹⁸⁶ პირი, რომელიც დებს სადაზღვევო ხელშეკრულებას, ვალდებულია მიაწოდოს მზღვეველს სათანადო ინფორმაცია, რომელიც

¹⁸² ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 71.

¹⁸³ ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, თბილისი, 2005, 208

¹⁸⁴ Clarke M., *Developments on Insurance Law in England: Precontractual Information Duties and Warranties*, 5 *EJCL* 1, 2013, 1.

¹⁸⁵ ნოზაძე ი., ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისუფლები, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 175.

¹⁸⁶ ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 62.

გააჩნია ან უნდა გააჩნდეს. ამ ინფორმაციის მიწოდებით გამოიხატება მისი პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დადებისას.¹⁸⁷

სადაზღვევო მხარეთა შორის ხელშეკრულების დადებამდე, დამზღვევმა უნდა უზრუნველყოს მზღვეველის სრულად ინფორმირება სადაზღვევო რისკის შესახებ.¹⁸⁸

საქართველოს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „დაზღვევა ეფუძნება კეთილსინდისიერებას და ურთიერთნდობას, ამიტომ, დამზღვევს ევალება, ნებაყოფლობით მიაწოდოს მზღვეველს ყველა ის ინფორმაცია, რამაც შეიძლება გავლენა მოახდინოს დაზღვევის ხელშეკრულების პირობებზე.“¹⁸⁹

გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების აქტის თანახმად, დაზღვევის ხელშეკრულებაზე თანხმობის გაცემამდე, დამზღვევი ვალდებულია უპასუხოს მზღვეველს ყველა იმ რისკ-ფაქტორის შესახებ, რომელსაც იგი წერილობით ეკითხება და გაამჟღავნოს ის ფაქტები, რომელიც მისთვის ცნობილია და შესაძლებელია, გავლენა მოახდინოს მზღვეველის გადაწყვეტილებაზე, დადოს თუ არა მასთან ხელშეკრულება, შეთანხმებული შინაარსით. მას შემდეგ რაც მზღვეველს დაუდასტურებს დამზღვევი თანხმობას, იგი ვალდებულია შემდგომ პერიოდშიც მიაწოდოს მზღვეველს შესაბამისი ინფორმაცია.¹⁹⁰ ამ ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.¹⁹¹

დამზღვევს უნდა ჰქონდეს საკმარისი დრო იმისათვის, რომ გაანალიზოს მიწოდებული ინფორმაცია მანამ, სანამ თანხმობას განაცხადებს ხელშეკრულების დადებაზე. ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად, თანხმობის მისაღებად მხოლოდ წინასწარ განსაზღვრული ინფორმაციის მიწოდებაც საკმარისია. მათი მტკიცებით, დამზღვევმა უნდა გადაწყვიტოს საკმარისია თუ არა მიწოდებული ინფორმაცია ხელშეკრულების დასადასტურებლად და ამ მხრივ არ საჭიროებენ საკანონმდებლო დაცვას.¹⁹²

ევროპის სადაზღვევო სახელშეკრულებო პრინციპების თანახმად, ხელშეკრულების დადებისას, დამზღვევმა უნდა მიაწოდოს მზღვეველს ინფორმაცია ყველა იმ გარემოების შესახებ, რომელიც იცის ან უნდა იცოდეს.

¹⁸⁷ PEICL, Article 1:206.

¹⁸⁸ Insurance Act 2015, (UK) Section 3 (1).

¹⁸⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ოქტომბრის №ას-657-624-2014 განჩინება.

¹⁹⁰ ICA, Section 19 (1).

¹⁹¹ ICA, Section 19 (2).

¹⁹² Koch R., German reform of insurance contract law, 2 EJCCL 163, 2010, 167.

ასევე, იმ კითხვებზე გასცეს ზუსტად და მკაფიოდ პასუხი, რომელიც სადაზღვევო ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს.¹⁹³

დამზღვევმა ხელშეკრულების დადებისას მზღვეველს უნდა უპასუხოს მის მიერ დასმულ ყველა შეკითხვას. ეს მისი არა უფლება, არამედ ვალდებულებაა. შეკითხვები, შესაძლებელია ეხებოდეს წარსულში მომხდარ და აწმყოში მიმდინარე ფაქტებს. კითხვა არ უნდა დაისვას მომავალზე, რადგან ის ვერ უზუზრნველყოფს რეალური და ზუსტი ინფორმაციის მიწოდებას, ვინაიდან მომავლის ფაქტები მხოლოდ პრეზუმფციაა. იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი აღნიშნულ ვალდებულებას ეკიდება გულგრილად და არ აწვდის სათანადო ინფორმაციას მზღვეველს, ეს უკანასკნელია შეწყვიტოს ხელშეკრულება ერთი თვის ვადაში. თუ მზღვეველმა ხელშეკრულების სხვა პირობებით, დაადგინა დამზღვევის მიერ გაუმჟღავნებელი ინფორმაციის შესახებ, მას უფლება აქვს შეცვალოს ხელშეკრულების პირობები. თუ, მზღვეველის მიერ შეცვლილი პირობების ფარგლებში, დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის ოდენობა გაიზრდება 10 %-ით ან მზღვეველი არ დაასაბუთებს რისკის გაზრდის შესახებ, დამზღვევი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება. ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში, მზღვეველის უფლებამოსილება ხელშეკრულების შეწყვეტის ან პირობების შეცვლის მხრივ შედარებით შეზღუდულია, რადგან მან უნდა ამტკიცოს დამზღვევის გულგრილობის შესახებ.¹⁹⁴

რეპრეზენტაცია არის კონტრაქტის შედგენისას ან შედგენამდე აპლიკანტის მიერ გაკეთებული სიტყვიერი ან წერილობითი განაცხადი. ასეთი განაცხადი შეიძლება გახდეს საფუძველი (დამარწმუნებელი) დამზღვევისთვის დაეთანხმოს ხელშეკრულების პირობებს და გააფორმოს კონტრაქტი. როგორც წესი რეპრეზენტაცია არის აპლიკანტის (დამზღვევის) პასუხი კითხვებზე, რომლებიც ეხება დაზღვევის საგანს. მაგალითად, როდესაც მიმდინარეობს მოლაპარაკებები სიცოცხლის დაზღვევაზე, პასუხი კითხვაზე ჰქონია თუ არა ოდესმე დამზღვევს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემა, წარმოადგენს რეპრეზენტაციას. თუ განაცხადი არ შეესაბამება სიმართლეს, ამას შეუძლია მისცეს საფუძველი მზღვეველს, თავი აარიდოს კონტრაქტის გაფორმებას. თუმცა, როდესაც საქმე გვაქვს არსებული კონტრაქტის გაუქმებასთან ეს შეიძლება მოხდეს მაშინ როდესაც იგი მოიცავს „მატერიალურ ფაქტს“. „მატერიალური ფაქტი“ არის

¹⁹³ PEICL, 2:101 (1).

¹⁹⁴ Koch R., *German reform of insurance contract law*, 2 EJCCL 163, 2010, 169.

ინფორმაცია, რომლის გამჟღავნების შემთხვევაში დამზღვევი არ გააფორმებდა ხელშეკრულებას ან შეცვლიდა მის პირობებს.¹⁹⁵

„მონაცემთა შეგროვების საჭიროებასა და მის დასაშვებ ფარგლებს შორის საზღვრის გავლება რთულია, მაგრამ იმისათვის, რომ ეს ფარგლები არ დაირღვეს, პირველ რიგში, ამა თუ იმ ინფორმაციის ცოდნა მნიშვნელოვანი უნდა იყოს ობიექტური თვალთახედვიდან გამომდინარე.“¹⁹⁶ „მზღვეველს არ აქვს უფლება პერსონალური ინფორმაცია მხოლოდ სტატისტიკური მიზნებისთვის შეაგროვოს.“¹⁹⁷

„ანიჭებს რა მზღვეველს უფლებას, მოიპოვოს პირის ჯანმრთელობის შესახებ პერსონალური ინფორმაცია და ადგენს რა დაზღვეულის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას, კანონმდებელი ზღუდავს ზოგად პიროვნულ უფლებას. წინასახელშეკრულებო ვალდებულების შემთხვევაში, საქმე ეხება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვან ინფორმაციას, რომელიც დაზღვეულის მხრიდან თავისთავად სრულიად სამართლიანადაც მისი ინტიმური სფეროს შემადგენელ ნაწილად განიხილება. ასეთ ვითარებაში, დაზარალებული იძულებულია, გააკეთოს არჩევანი ორ სიკეთეს შორის - შევიდეს სადაზღვევო ურთიერთობებში და მზღვეველს მიაწოდოს პერსონალური ინფორმაცია, ან უარი თქვას პერსონალური ინფორმაციის¹⁹⁸ გაცემაზე და, შესაბამისად, სადაზღვევო ურთიერთობებზე, რის შედეგადაც იგი დაკარგავს კონსტიტუციის მისთვის მინიჭებულ უფლებას.“¹⁹⁹

დამზღვევის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მზღვეველისთვის თავისი ჯანმრთელობის შესახებ უნდა განხორციელდეს ისე, რომ არ შეიზღუდოს პირის ძირითადი უფლება და თავისუფლება.

¹⁹⁵ Emmett J., Vaughan T., *Fundamentals of Risk and Insurance*, 10th ed., 2007, 176.

¹⁹⁶ მოწონელიძე ნ., თანამედროვე ბიომედიცის როლი სადაზღვევო სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის ჟურნალი, №2, 2013, 123.

¹⁹⁷ მოწონელიძე ნ., თანამედროვე ბიომედიცის როლი სადაზღვევო სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის ჟურნალი, №2, 2013, 120.

¹⁹⁸ საქართველოს კანონის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, „პერსონალური მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირს. პირი იდენტიფიცირებადია, როდესაც შესაძლებელია მისი იდენტიფიცირება პირდაპირ ან არაპირდაპირ, კერძოდ, საიდენტიფიკაციო ნომრით ან პირის მახასიათებელი ფიზიკური, ფიზიოლოგიური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, კულტურული ან სოციალური ნიშნებით.“

¹⁹⁹ მოწონელიძე ნ., თანამედროვე ბიომედიცის როლი სადაზღვევო სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, №2, 2013, 22.

„დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას, დამზღვევი ვალდებულია ჯანმრთელობის შესახებ პირადი ინფორმაცია მიაწოდოს მზღვეველს როგორც თავისი ინიციატივით, ისე მზღვეველის დაინტერესების შემთხვევაში.“²⁰⁰ ხაზი უნდა გაესვას იმასაც, რომ ჯანმრთელობის დაზღვევას ყურადღება შრომით ურთიერთობებშიც ექცევა და ხშირად დამსაქმებლები სთავაზობენ დასაქმებულებს ჯანმრთელობის დაზღვევას. ჯანმრთელობა ადამიანის სასიცოხლო ინტერესს წარმოადგენს. დასაქმებულისთვის მნიშვნელოვანია საკუთარი ჯანმრთელობის დაცვა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს უკანასკნელი დაკავშირებულია შრომით საქმიანობასთან. თავის მხრივ, დამსაქმებელიც, აპრიორი, დაინტერესებულია დასაქმებულის ჯანმრთელობის დაცვით და მისი შრომისუნარიანობით.²⁰¹ გამომდინარე აქედან, ვინაიდან პირის ჯანმრთელობის დაზღვევა დამსაქმებლის ინტერესებშიც შედის, ამ უკანასკნელის ჯანმრთელობის დაზღვევა უნდა მოხდეს ისე, რომ არ შეილახოს მისი უფლებები.

დიდი ბრიტანეთის კანონმდებლობის²⁰² თანახმად, მხარეთა შორის ინფორმაცია უნდა გამჟღავნდეს შემდეგნაირად: ა) გამჟღავნდეს ყველა მატერიალური გარემოება, რომელიც დამზღვევმა იცის ან უნდა იცოდეს, ან ბ) უნდა იკვეთებოდეს, რომ გამჟღავნებული ინფორმაცია, რომელიც მზღვეველს მიეწოდება დამზღვევის მიერ, გონიერ მზღვეველს უნდა აძლევდეს იმის შემჩნევის საშუალებას, რომ ამ ინფორმაციას სჭირდება მეტი შეკითხვა, რათა გამოავლინოს მატერიალური გარემოება. აღნიშნული მუხლი არ მოითხოვს დამზღვევის მიერ ინფორმაციის გამჟღავნებას იმ შემთხვევაში თუ ა) რისკი მცირდება; ბ) მზღვეველმა ამის შესახებ იცის; გ) მზღვეველმა უნდა იცოდეს; დ) მზღვეველმა სავარაუდოდ იცის ან ე) მზღვეველმა მიაწოდა ამის შესახებ ინფორმაცია.²⁰³

უცხო ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, დამზღვევის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების დადების ეტაპზე, ზემოაღნიშნული ვალდებულების დარღვევას დამზღვევის თაღლითობას უწოდებენ. წინასახელშეკრულებო სადაზღვევო თაღლითობა არის **დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის არასწორი ინფორმაციის მიწოდება ან ინფორმაციის**

²⁰⁰ მოწონელიძე ნ., თანამედროვე ბიომედიცინის როლი სადაზღვევო სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის ჟურნალი, №2, 2013, 119.

²⁰¹ ირემაშვილი ქ., ჯანმრთელობის დაზღვევა, როგორც ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი მექანიზმი, შრომის სამართლის სტატიათა კრებული, თბილისი, 2011, 160.

²⁰² Insurance Act 2015, (UK) Section 3 (4).

²⁰³ Insurance Act 2015, (UK) Section 3 (5).

დამალვა წინასახელშეკრულებო ეტაპზე, იმ განზრახვით, რომ პირმა მიიღოს სადაზღვევო პოლისი ან მიიღოს და განისაზღვროს უფრო მეტი მისთვის სასარგებლო სახელშეკრულებო პირობებით, ანუ ისეთით, რომელსაც მზღვეველი არ დადებდა თუ მას ექნებოდა სწორი ინფორმაცია.²⁰⁴

როდესაც დამზღვევის მიერ გაუმჟღავნებელი ფაქტი აშკარად მატერიალურია, სასამართლოსთვის ეს პრობლემას არ წარმოადგენს. საქმე რთულადაა მაშინ, როდესაც ფაქტის მატერიალურობა ნაკლებადაა ნათელი, რის გამოც სასამართლო ნაკლებად ენდობა მზღვეველის მიერ წარდგენილ მტკიცებულებას, ამიტომ ერთ-ერთ საქმეზე,²⁰⁵ სასამართლომ მოიწვია დამოუკიდებელი მოწმე ამ ფაქტის დასადასტურებლად.²⁰⁶

5.2 ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება ხელშეკრულების განმავლობაში

5.2.1. დამზღვევის ვალდებულება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში

აღსანიშნავია, რომ მხარეთა მიერ ერთმანეთისადმი მნიშვნელოვანი ვალდებულებების შესრულება, კერძოდ კი ინფორმაციის სწორად მიწოდება და ხელშეკრულების პირობების სამართლიანად ჩამოყალიბება, ხელშეკრულების დადების ეტაპზე არ სრულდება. მხარეები ერთმანეთისადმი აღნიშნულ ვალდებულებებს ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაშიც ინარჩუნებენ.

ამის მაგალითად, დაზღვევის ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში შეიძლება წარმოიშვას ახალი გარემოება, რომელიც არსებითად იქონიებს გავლენას სადაზღვევო შემთხვევის დადგომის საფრთხის გაზრდაზე. სწორედ ამიტომ, დამზღვევი მოვალეა ამის შესახებ აუცილებლად შეატყობინოს მზღვეველს.²⁰⁷ სამოქალაქო კოდექსში მოცემულია 813-ე მუხლი, რომელიც დამზღვევს აკისრებს ვალდებულებას, დაუყოვნებლივ შეატყობინოს მზღვეველს საფრთხის გაზრდის შესახებ, რომელიც ხელშეკრულების დადების შემდგომ გამოვლინდა და ამასთან, აღნიშნული გარემოება არსებით გავლენას მოახდენდა ხელშეკრულების დადებაზე. მნიშვნელოვანია, ზუსტად განიმარტოს არსებითი გავლენა, დადგინდეს

²⁰⁴ Engel K., Hendrikse M., *Pre-Contractual Fraud in Insurance Contract Law*, 6 EJCCL 33 (2014), 33.

²⁰⁵ *Abu Bakar v Oriental Fire and General Insurance Co Ltd*, 1976

²⁰⁶ Thanasegaran H., *Good faith in insurance and takaful contracts in MalaYsia a comparative perspective*, 2016, 57.

²⁰⁷ ცისკაძე მ., *ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება*, თბილისი, 2001, 31.

დამზღვევის სამართლებრივი სტატუსი, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეფასდეს სასამართლოს მიერ.²⁰⁸

ევროპის დაზღვევის ხელშეკრულების პრინციპების მიხედვით, თუ სადაზღვევო შემთხვევა დადგა და ეს რისკი ხელშეკრულების დადებისას დამზღვევმა არ გაამჟღავნა ან არასწორად აცნობა ამის შესახებ მზღვეველს, სადაზღვევო თანხა არ აუნაზღაურდება, ვინაიდან მზღვეველისთვის ამის შესახებ ცნობილი არ იყო.²⁰⁹

დამზღვევი ვალდებულია ხელშეკრულების განმავლობაში, დაუყოვნებლივ აცნობოს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ. „სადაზღვევო შემთხვევასთან დაკავშირებულ ინფორმაციაში იგულისხმება არა მხოლოდ ის მონაცემები, რომელიც მნიშვნელოვანია სადაზღვევო რისკისა და შედეგის შესაფასებლად, არამედ ნებისმიერი სხვა, არსებითად მნიშვნელოვანი ინფორმაციაც. ამასთან, არსებითია ყველა ფაქტობრივი გარემოება – მათ შორის დამხმარე გარემოებებიც, რომლებიც, დაზღვევის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სამართლებრივი მნიშვნელობის მქონეა, ასევე ინფორმაცია, რომელიც მზღვეველს აძლევს ამა თუ იმ მიზეზით ხელშეკრულებიდან გასვლის ან ხელშეკრულების დადებაზე უარის თქმის შესაძლებლობას.“²¹⁰

სსკ-ის 814-ე მუხლის 1-ლი ნაწილი ავალდებულებს დამზღვევს, დროულად მიაწოდოს მზღვეველს ინფორმაცია სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ, რომელიც კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარეობს. კანონმდებელი დამზღვევს მეტი გულისხმიერებისაკენ მოუწოდებს და სადაზღვევო შემთხვევის გამო, მისგან მეტ ყურადღებას მოითხოვს, ვინაიდან დაზღვევის ობიექტი უფრო მეტად დამზღვევის გავლენის ქვეშაა და მასზე კონტროლის მეტი შესაძლებლობით სარგებლობს. სწორედ დამზღვევის ინტერესებში უნდა შედიოდეს დაზღვევის ობიექტის შენარჩუნება და მასზე მეტი ზრუნვა ჰმართებს.²¹¹

„სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გაგებისთანავე დამზღვევს კანონმდებელი იმიტომ აკისრებს შეტყობინების ვალდებულებას, რომ

²⁰⁸ ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, *gccc.ge*, 15.03.2016, მუხ. 813, ველი 45.

²⁰⁹ PEICL, Article 2:102 (5).

²¹⁰ მოწონელიძე ნ., თანამედროვე ბიომედიცინის როლი სადაზღვევო სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის ჟურნალი, №2, 2013, 120.

²¹¹ ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, *gccc.ge*, 15.03.2016, მუხ. 814, ველი 2.

შეიძლება სადაზღვევო შემთხვევა დადგეს, მაგრამ დამზღვევემა იგი დადგომისთანავე ვერ შეიტყოს. მართალია, კანონმდებელი შეტყობინების კონკრეტულ ვადებს არ განსაზღვრავს, მაგრამ როცა დამზღვევი გაიგებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ, მან მზღვეველს აუცილებლად უნდა შეატყობინოს ამ ფაქტის თაობაზე. თუ დამზღვევი დროულად არ შეატყობინებს სადაზღვევო კომპანიას სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შესახებ, შეტყობინების დაგვიანების გამო, მზღვეველს შეუძლია უარი განაცხადოს სადაზღვევო საზღაურის გაცემაზე, რადგან სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან გარკვეული დროის გასვლის შემდეგ ხშირად შეუძლებელია სადაზღვევო შემთხვევით მიყენებული ზიანის ზუსტი განსაზღვრა, ასეთი შემთხვევის გამომწვევი გარემოებების დადგენა და ა.შ.²¹² კეთილსინდისიერების პრინციპი თავის თავში მოიცავს თითოეული მხარის მოვალეობას, მაქსიმალურად შეუწყონ ხელი ერთმანეთს ვალდებულების შესრულებაში.²¹³

იმ შემთხვევაში თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას დადგინდება მიზეზობრივი კავშირი დაზღვეულის მხრიდან გულგრილობასა და სადაზღვევო შემთხვევის გამოწვევას შორის მზღვეველი თავისუფლდება ზიანის ანაზღაურების მოვალეობისგან. მეტიც, იმ შემთხვევაში თუ დამზღვევი ბოროტი განზრახვით მოქმედებდა, მზღვეველი თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან თუ არ არსებობს მიზეზობრივი კავშირი დანაკარგს და ინფორმაციის შეუტყობინებლობაში.²¹⁴

5. 2. 2. მზღვეველის ვალდებულება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში

მზღვეველს, როგორც წინასახელშეკრულებო, ასევე ხელშეკრულების მიმდინარე პერიოდში მუდმივად შეუძლია, დამზღვევს შეახსენოს დაზღვეული სიკეთის მდგომარეობის შესახებ ინფორმირების ვალდებულება, რის შედეგაც მზღვეველი ხდება დაზღვეულის შესახებ უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის მფლობელი. სწორედ კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ეკისრება ვალდებულება, სიფრთხილით მოეკიდოს მიღებულ ინფორმაციას და დაიცვას მისი კონფიდენციალურობა.²¹⁵ მხარეთა შორის დადებულმა ხელშეკრულებამ თითოეულ მხარეს რომ მოუტანოს სარგებელი,

²¹² ცისკაძე მ., *ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება*, თბილისი, 2001, 32-33.

²¹³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2011 წლის 23 ივნისის №ას-1388-1224-10 გადაწყვეტილება.

²¹⁴ Koch R., *German reform of insurance contract law*, 2 EJCCCL 163, 2010, 168-169.

²¹⁵ ნოზაძე ი., *ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისუფლები, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 173.*

იგი უნდა ემყარებოდეს მხარეთა შორის ნდობას, რაც ხელს შეუწყობს მათ თანამშრომლობას.²¹⁶ „მზღვეველს მხოლოდ დამზღვევის წინაშე აქვს ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ახსნა-განმარტებების მიცემის ვალდებულება.“²¹⁷

სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში მზღვეველი ვალდებულია, მაქსიმალურად მოახდინოს დამზღვევის დაუყოვნებლივი ინფორმირება ისეთი გარემოებების შესახებ, რომელიც მნიშვნელოვანია დამზღვევის მიერ საკუთარი უფლებებით შეუფერხებელი სარგებლობისთვის. სადაზღვევო ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, მზღვეველმა უნდა უზრუნველყოს დამზღვევის მიმართ ინფორმაციის დაუყოვნებლივი მიწოდება. მათ შორის, ინფორმაცია სახელშეკრულებო პირობების ცვლილების შესახებ, რომელშიც შედის მისი სახელი და მისამართი (სათაო ოფისისა და ფილიალის მისამართი).²¹⁸

სააპელაციო პალატა ერთ-ერთ საქმეზე განმარტავს, რომ მზღვეველს, როგორც „ძლიერ კონტრაქტს“, გაცილებით მეტი გულისხმიერება და წინდახედულება მოეთხოვება, ვინაიდან იგი მეწარმე იურიდიული პირია და სადაზღვევო საქმიანობა მისი საქმიანობის ერთადერთი სფეროა.²¹⁹

დამზღვევის მიერ ინფორმაციის მოთხოვნის შემთხვევაში, მზღვეველმა დაუყოვნებლივ უნდა მიაწოდოს მას ინფორმაცია. ეს კი დროის ისეთ მონაკვეთს გულისხმობს, რამდენიც, სავარაუდოდ, მოსალოდნელი შეიძლება იყოს დამზღვევისთვის. ასევე, მზღვეველმა უნდა მიაწოდოს დამზღვევს, დაყოვნების გარეშე, ხელშეკრულების იმ ტიპის ახალი პირობები, რომელიც მათი ხელშეკრულებიდან გამომდინარეობს.²²⁰ გარდა ამისა, როგორც დამზღვევის მიერ მოთხოვნილი ინფორმაცია, ასევე მზღვეველის მიერ მიწოდებული პასუხი უნდა შესრულდეს წერილობითი ფორმით.²²¹

რაც შეეხება სადაზღვევო შემთხვევის დადგომას, სადაზღვევო შემთხვევის შესახებ დროული შეტყობინების შემდეგ, მზღვეველმა სადაზღვევო საზღაური უნდა გასცეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა

²¹⁶ ჩაჩანიძე თ., სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში. *ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი* №3, (26), 2010, 30.

²¹⁷ ქეცბაია ე., დაზღვევის სამართალური თეორიის სუბიექტები და ობიექტი, *ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი*, 88.

²¹⁸ PEICL, Article 2:701.

²¹⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 28 იანვრის №ას-1643-1540-2012 განჩინება.

²²⁰ PEICL, Article 2:702 (1).

²²¹ PEICL, Article 2:702 (2).

სადაზღვევო კომპანიის ექსპერტი დაადგენს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის გამომწვევ მიზეზს, რათა ზუსტად განსაზღვროს მიყენებული ზიანისა და დამზღვევისათვის მისაცემი სადაზღვევო თანხის ანაზღაურება.²²² სსკ-ის 814-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მზღვეველი უფლებამოსილია, სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ მოსთხოვოს დამზღვევს ყოველგვარი ცნობა, რომელიც აუცილებელია სადაზღვევო შემთხვევის ან მოვალეობის მოცულობის დასადგენად.²²³

6. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის

სამართლებრივი შედეგები საქართველოსა და უცხო ქვეყნის მაგალითზე

6.1 დამზღვევის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა

სადაზღვევო ხელშეკრულების დადებისას, დამზღვევი, დაზღვევის ობიექტის შესახებ არსებული ინფორმაციის ფლობის თვალსაზრისით, მზღვეველთან შედარებით, უპირატეს მდგომარეობაში იმყოფება.²²⁴ სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, დაზღვევის სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი თვისება არის ის, რომ ასეთი სახის ურთიერთობა დამყარებულია მხარეთა განსაკუთრებულ ნდობაზე, რომელიც გამოიხატება დამზღვევის მიერ მზღვეველისათვის შეტყობინების, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებაში.²²⁵

დამზღვევის ინფორმაციულ უპირატესობას²²⁶ იურიდიულ ლიტერატურაში „ინფორმაციული ასიმეტრია“ ეწოდება.²²⁷ „მხარეთა შორის არსებული ინფორმაციული ასიმეტრია გულისხმობს მათ არათანაბარ ინფორმირებულობას ერთი და იგივე საკითხის შესახებ.“²²⁸

„ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ხდება სწორედ ისეთ შემთხვევაში, როდესაც მისი მიუწოდებლობა ძირითად ვალდებულებას არ არღვევს, მაგრამ ამ ინფორმაციის არქონის გამო, უფლებამოსილ პირს ადგება ზიანი. ამასთან,

²²² ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 33.

²²³ იქვე.

²²⁴ ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 62.

²²⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2014 წლის 10 ოქტომბრის №ას-657-624-2014 განჩინება.

²²⁶ ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 15.03.2016, მუხ. 808, ველი 4

²²⁷ Loshin J., *Insurance Law's Hapless Busybody: A Case Against the Insurable Interest Requirement*, *The Yale Law Journal*, 2007, 294.

²²⁸ ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 18.

მნიშვნელოვანია ის, რომ შესაბამისი ინფორმაციის გათვალისწინების შემთხვევაში ზიანი არ დადგებოდა, ხოლო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება მხარეს გულისხმიერებისა თუ კეთილსინდისიერების პრინციპების გათვალისწინებით უდავოდ ეკისრებოდა.²²⁹

მზღვეველისთვის, დამზღვევის მიერ, არასაკმარისი ან არასწორი ინფორმაციის მიწოდებისას, შეუძლებელი ხდება მიიღოს სრულად ინფორმირებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ვინაიდან ვერ განსაზღვრავს სწორად უზრუნველყოფს თუ არა დამზღვევის რისკებს და რა ოდენობით უნდა განსაზღვროს სადაზღვევო პრემია.²³⁰ მიუხედავად იმისა, რომ დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება სწორედ დამზღვევს აქვს, ეს არ ნიშნავს იმას, რომ იგი ვალდებულია წინასწარ გამოიცნოს ისეთი მონაცემები, რომელიც მზღვეველისთვის ჩაითვლება არსებითად. გარდა ამისა, დამზღვევი არაა წარადგინოს ისეთი ინფორმაცია, რომელზეც მას ხელი არ მიუწვდება.²³¹

არსებობს რამდენიმე გზა, რომლითაც აპლიკანტმა, შესაძლებელია, მზღვეველი მოატყუოს. მაგ., აპლიკანტმა, შესაძლებელია, მზღვეველს ან სადაზღვევო აგენტს, უთხრას ან დაწეროს აშკარა სიცრუე, სადაც მოსალონდელ რისკებს აღწერს უფრო დადებითად, ვიდრე რეალურად არის. აპლიკანტმა, ასევე, შესაძლებელია, დაფაროს გარკვეული ფაქტები მზღვეველისგან, რომელიც სადაზღვევო რისკის შეფასებისთვის რელევანტურია. უფრო კონკრეტულად, აპლიკანტმა, შესაძლოა, დატოვოს ერთი ან რამდენიმე შეკითხვა უპასუხოდ, რომელსაც მზღვეველი ეკითხება სადაზღვევო კითხვარით, იმ იმედით, რომ მზღვეველი არ მოსთხოვს ახსნა-განმარტებას.²³²

თუ დამზღვევი დააიგნორებს მზღვეველის შეკითხვას, რომელიც მზღვეველისთვის ხელშეკრულების გასაფორმებლად მნიშვნელოვანია, მაგ., იღებდა თუ არა ის მედიკამენტებს და დამზღვევი უხეშად დაუმალავს მის მიერ მედიკამენტების მიღებას, რომელიც სისხლს ათხელებს, მზღვეველი გათავისუფლდება თანხის გადახდის ვალდებულებისაგან თუ დამზღვევს ამის გამო საავადმყოფოში გადაყვანა მოუწევს დიდი ოდენობით მედიკამენტების მიღების გამო. თუმცა, მზღვეველი ვალდებული იქნება

²²⁹ ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბილისი, 2010, 118.

²³⁰ Engel K., Hendrikse M., Pre-Contractual Fraud in Insurance Contract Law, 6 EJCCL 33 (2014), 33.

²³¹ ირემაშვილი ქ., მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016, 63.

²³² Engel K., Marc Hendrikse, Pre-Contractual Fraud in Insurance Contract Law, 6 EJCCL 33 (2014), 33.

გადაიხადოს სადაზღვევო თანხა, თუ დამზღვევეს შეემთხვა ტრავმული დაზიანება ავტოავარიის შედეგად. თუ დამზღვევე მოიქცა თაღლითურად, მზღვეველი უფლებამოსილია მისი პრეტენზია სრულიად უარყოს. ასეთი მიდგომების მიზანს დამზღვევთა მიერ თაღლითობის პრევენცია წარმოადგენს.²³³

მნიშვნელოვანია, აღინიშნოს, რომ მზღვეველის მიერ ვალდებულის შესრულებაზე თავის არიდების უფლება დამზღვევის გულგრილობის გამო, გერმანიის სამოქალაქო კოდექსში რჩება ძალაში. გერმანიის კონცეფცია დამზღვევის გულგრილობის შესახებ შედარებულია ინგლისის კანონმდებლობასთან, რომელიც ინფორმაციის გაუმჯდავენელობას ეხება. ეს სიტუაცია იწვევს შეკითხვას, შეუძლია თუ არა მზღვეველმა აიცილოს კონტრაქტი, დამზღვევის მიერ არასწორი ინფორმაციის მიწოდების გამო, მიუხედავად იმისა, რომ ამის შესახებ მზღვეველს არ უკითხავს. დამზღვევმა არ გაამჟღავნა ფაქტები, რომელიც იცოდა ან უნდა სცნოდნოდა, რადგან იცოდა, რომ ეს გავლენას მოახდენდა მზღვეველის გადაწყვეტილებაზე აელო თუ არა მას ამის რისკი.²³⁴

6. 2 მზღვეველის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა

სადაზღვევო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევა მზღვეველის მიერ შესაძლებელია გამოიხატოს, წინასახელშეკრულებო ეტაპზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებაში, ხელშეკრულების შეცვლილი პირობების მხარისათვის შეუტყობინებლობის შემთხვევაში და ა.შ.

კეთილსინდისიერება მოითხოვს, ხელშეკრულების სტანდარტული პირობები იმგვარად ჩამოყალიბდეს, რომ არ იყოს ორიენტირებული მხოლოდ მისი დამდგენის დომინანტი პირის ინტერესების დაცვაზე.²³⁵ ვინაიდან ხელშეკრულების შემდგენი სწორედ მზღვეველია, ის არ უნდა განიზრახავდეს იმას, რომ დამზღვევეს თავსმოახვიოს სახელშეკრულებო პირობები ისეთი ფორმით, რომელიც უმეტესად მზღვეველის ინტერესზე იქნება მორგებული. ევროპის სახელშეკრულებო სამართალი მომხმარებლის

²³³ Koch R., *German reform of insurance contract law*, 2 EJCCL 163, 2010, 169.

²³⁴ Koch R., *German reform of insurance contract law*, 2 EJCCL 163, 2010, 169.

²³⁵ ი. ნოზაძე, *ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისუბურება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევაში*“ ივანე ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის ჟურნალი“, №1, 2017, 173. შემდგომი მითითებით: Markensinis B., Unberath H., Johnston A., *The German Law of Contract*, 2nd ed., Oxford and Portland, Oregon, 2006, 165.

ინტერესების საწინააღმდეგოდ შედგენილი ხელშეკრულების სტანდარტულ პირობას მიიჩნევს არაკეთილსინდისიერად.²³⁶

„მზღვეველმა კეთილსინდისიერების ვალდებულება განსაკუთრებული სიმკაცრით უნდა დაიცვას. კერძოდ, მან დამზღვევის ინტერესი უნდა დაიცვას ისე, როგორც დაიცავდა საკუთარს. მზღვეველის ვალდებულების დარღვევით იკარგება დაზღვევის ხელშეკრულების უმთავრესი მიზანი, დამზღვევის დაცვა. შედეგად დამზღვევი მარტო რჩება იმ რისკის წინაშე, რომლის დაფარვასაც ის კეთილსინდისიერად ელოდა.“²³⁷

თუ მზღვეველი, როგორც ნებაყოფლობით, ასევე სავალდებულო სადაზღვევო ურთიერთობებში, სათანადო ხარისხით და შესაბამისი ფორმით არ მოახდენს დამზღვევის ინფორმირებას ხელშეკრულების პირობების, დამზღვევის მიერ მისაწოდებელი ინფორმაციის, განსახორციელებელი ქმედებების შესახებ, ეს მიჩნეული იქნება მზღვეველის მხრიდან არაკეთილსინდისიერ ქმედებად და მას არ ექნება უფლება, დამზღვევის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების განუხორციელებლობის გამო, კეთილსინდისიერ დამზღვევს უარი უთხრას წინასახელშეკრულებო ეტაპზე ხელშეკრულების გაფორმებაზე სადაზღვევო პერიოდის მიმდინარეობისას და სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ ზიანის ანაზღაურებაზე, ან ისარგებლოს ხელშეკრულების მოშლის უფლებით.²³⁸ ხოლო, თუ მზღვეველმა სავალდებულო დაზღვევის ხელშეკრულების გაფორმების დროს გამოიჩინა არაკეთილსინდისიერება და დამზღვევის ინფორმირება ორაზროვანი, შენიღბული ჩანაწერის საფუძველზე მოახდინა იმგვარად, რომ დამზღვევი ვერ მიხვდა, ხელშეკრულების გაფორმებით მისი მდგომარეობა, კანონმდებლობით გათვალისწინებულთან შედარებით, როგორ უარესდებოდა, ასეთ შემთხვევაში, დამზღვევს იცავს სახელმწიფო.²³⁹ ასეთ დროს მნიშვნელოვანია ის თუ რამდენად შეიძლება დამზღვევმა იცოდეს,

²³⁶ Basedow J., Bird J., Clarke M., Cousy H., Heiss H, *Principles of European Insurance Contract Law (PEICL)*, 2009, 44.

²³⁷ ირემაშვილი ქ., *მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში*, თბილისი, 2016, 74.

²³⁸ ნოზაძე ი., *ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისუფლება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 182.*

²³⁹ ნოზაძე ი., *ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისუფლება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 182.*

რომელ გარემოებებს უნდა მიენიჭოს არსებითი მნიშვნელობა საფრთხის ან სადაზღვევო შემთხვევის დროს.²⁴⁰

7. ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის სამართლებრივი შედეგი

7.1. ვალდებულების დარღვევის მიმოხილვა ქართული კანონმდებლობის მიხედვით

„სახელშეკრულებო თავისუფლების გამოვლინებაა არა მხოლოდ ხელშეკრულების დადება, ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრა, კონტრაგენტის არჩევა და ა.შ. არამედ, ცალმხრივად, ხელშეკრულებიდან გასვლა, ხელშეკრულებაზე უარის თქმა, ხელშეკრულების შეწყვეტა.“²⁴¹

„დაზღვევის ხელშეკრულება წყდება მზღვეველის მიერ დაზღვევის ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლით დამზღვევის მხრიდან ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის გამო.“ (სსკ-ის 808-813)²⁴²

სახელშეკრულებო ურთიერთობებში მხარის მიერ ვალდებულების ბრალეულად დარღვევის შემთხვევაში, მეორე მხარეს უჩნდება ხელშეკრულების შეწყვეტის სურვილი პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენის გარეშე, მიღებული შესრულების შენარჩუნებით. გამომდინარე აქედან, ხელშეკრულების მოშლას არ მოსდევს მხარეთა რესტიტუცია ანუ პირვანდელ მდგომარეობაში აღდგენა. სწორედ აღნიშნული წარმოადგენს ხელშეკრულების მოშლის არსს.²⁴³

მზღვეველს დაცვის მატერიალურსამართლებრივი საშუალების თავისუფლად გამოყენების უფლება ექნება იმ შემთხვევაში, თუ კეთილსინდისიერად შეასრულებს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას (რაც მოიაზრებს დამზღვევის ინფორმირების ვალდებულებას მის მიერ მისაწოდებელი ინფორმაციისა და განსახორციელებელი ქმედებების შესახებ), წინააღმდეგ შემთხვევაში, კონკრეტული სადაზღვევო შემთხვევის

²⁴⁰ ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, 15.03.2016, *მუხ. 808, ველი 10.*

²⁴¹ ტაბაღა ბ., დაზღვევის ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულების მოშლის, შეწყვეტის და ბათილობის სამართლებრივ შედეგებზე ამ ხელშეკრულების ალესტორული ბუნების გავლენა, თბილისი, 2014, 27.

²⁴² ტაბაღა ბ., დაზღვევის ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულების მოშლის, შეწყვეტის და ბათილობის სამართლებრივ შედეგებზე ამ ხელშეკრულების ალესტორული ბუნების გავლენა, თბილისი, 2014, 28.

²⁴³ ჯანაშია ლ., წიგნში: ძლიერიშვილი ზ./ ცერცვაძე გ./რობაქიძე ი./სვანაძე გ./ცერცვაძე ლ./ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი 2014, 517.

ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, მზღვეველის მიერ ამ ნორმებზე აპელირება შესაძლოა არაკეთილსინდისიერ ქმედებად შეფასდეს.²⁴⁴

სსკ-ის 810-ე მუხლი უფლებას ანიჭებს **მზღვეველს**, მოშალოს დაზღვევის ხელშეკრულება იმ შემთხვევაში თუ დამზღვევეს საფრთხის გარემოებების შესახებ წერილობით კითხვებზე უნდა გაეცა პასუხი და არ შეატყობინა ის გარემოებები, რომელთა თაობაზეცდაც თუმცა კითხვა არ დასმულა, მაგრამ დამზღვევი განზრახ დუმდა. აღნიშნული ნორმა დამზღვევისგან განსაკუთრებულ წინდახედულობასა და კეთილსინდისიერებას მოითხოვს, ვინაიდან მისი დუმილი მზღვეველს ხელშეკრულების მოშლის ვალდებულებას ანიჭებს.²⁴⁵

„ხელშეკრულების მოშლა არ არის აღიარებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიერ დამოუკიდებელი სამართლებრივი ინსტიტუტის სახით. ხელშეკრულების მოშლა, როგორც ტერმინი, გამოიყენება ხელშეკრულებიდან გასვლის ინსტიტუტის დატვირთვით და მის სამართლებრივ შედეგს წარმოადგენს სსკ-ის 352-ე მუხლით გათვალისწინებული შედეგი - რესტიტუცია“²⁴⁶

მნიშვნელოვანია, სსკ-ის 814-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელიც დამზღვევის ინტერესებს იცავს, ვინაიდან მზღვეველს არ შეუძლია დაეყრდნოს შეთანხმებას, რომლითაც იგი თავისუფლდება თავისი მოვალეობისაგან, თუ დამზღვევი არ შეასრულებს შეტყობინების მოვალეობას, მაგრამ ამით მზღვეველის ინტერესები არსებითად არ დაირღვევა. დარღვევა ჩაითვლება არსებითად თუ მზღვეველს ხელი ეშლება ზიანის შესამცირებლად აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებაში და ამის გამო თავად განიცდის ზიანს. მტკიცების ტვირთი დარღვევის არსებითობის შესახებ, მზღვეველს ეკისრება, თუმცა აღნიშნული საკითხი საბოლოოდ სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებში ექცევა და ფასდება მხარეთა მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე.²⁴⁷

²⁴⁴ ი. ნოზაძე, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისუფლები, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევაში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამართლის ჟურნალი, №1, 2017, 174.

²⁴⁵ ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 15.03.2016, მუხ. 810, ველი 1.

²⁴⁶ ტაბალა ბ., დაზღვევის ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულების მოშლის, შეწყვეტის და ბათილობის სამართლებრივ შედეგებზე ამ ხელშეკრულების ალეატორული ბუნების გავლენა, თბილისი, 2014, 25.

²⁴⁷ ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 15.03.2016, მუხ. 814, ველი 7.

სავალდებულო დაზღვევისას, „თუ დამზღვევმა არ დადო დაზღვევის ხელშეკრულება ან დადო ისეთი პირობით, რომელიც აუარესებს დაზღვეულის მდგომარეობას კანონმდებლობით გათვალისწინებულ პირობებთან შედარებით, დამზღვევი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ვალდებულია დაზღვეულს აუნაზღაუროს ზიანი იმ ოდენობით, რომელსაც დაზღვეული მიიღებდა მოცემული დაზღვევის არსებობის შემთხვევაში. ხოლო მე-3 პუნქტით, დამზღვევს უფლება აქვს სასამართლო წესით მოსთხოვოს მზღვეველს დაზღვევის განხორციელება.“²⁴⁸

დამზღვევის მიერ საფრთხის გაზრდის შესახებ მონაცემების შეუტყობინებლობა, მზღვეველს ანიჭებს ხელშეკრულების პირობების შეცვლის უფლებამოსილებას, რაშიც სადაზღვევო რისკის პროპორციულად პრემიის გაზრდა მოიაზრება. აგრეთვე, მზღვეველს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება ერთი თვის ვადაში, ხოლო თუ დადგინდება დამზღვევის განზრახვა, საფრთხის გაზრდის გამოწვევასთან დაკავშირებით, მაშინ მზღვეველს ვადის დაცვის გარეშე შეუძლია ხელშეკრულების მოშლა.²⁴⁹

ინფორმაციის მიწოდების დარღვევის ერთ-ერთ სპეციალურ შემთხვევას ითვალისწინებს სსკ-ის 809-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილის თანახმად, მზღვეველს შეუძლია უარი თქვას ხელშეკრულებაზე მაშინაც, თუ არსებითი გარემოებების შესახებ შეტყობინება არასწორ მონაცემებს შეიცავს. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ხელშეკრულებაზე უარის თქმა დაუშვებელია, თუ მონაცემების უზუსტობა მზღვეველისთვის ცნობილი იყო, ან თუ დამზღვევს ბრალი არ მიუძღვის არასწორ მონაცემთა მიწოდებაში. ამ მონაცემების შეტყობინებიდან ერთი თვის განმავლობაში მზღვეველს შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება.

მნიშვნელოვანია, რომ დამზღვევი არახელსაყრელ პირობებში არ უნდა აღმოჩნდეს ინფორმაციის მიწოდების გამო. მას არ აკისრია იმის ვალდებულება, გამოიცნოს, რამდენად მიიჩნევს მზღვეველი მის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას არსებითად. ეს კი უფრო რთული მაშინ ხდება, როდესაც საქმე ეხება სპეციფიკური ტიპის ინფორმაციას. ამასთან, დამზღვევის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევად ვერ განიხილება ის გარემოება, როდესაც მზღვეველი ვერ ითხოვს მისგან საჭირო ინფორმაციას. გასათვალისწინებელია, რომ მზღვეველმა არ უნდა მოსთხოვოს დამზღვევს ისეთი ინფორმაცია, რომელზეც მას ხელი არ მიუწვდება. არსებითია ისეთი გარემოება, რომელმაც, შესაძლებელია,

²⁴⁸ საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“ მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი.

²⁴⁹ ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, *gccc.ge*, 15.03.2016, მუხ. 813, ველი 4-6.

გავლენა მოახდინოს მზღვეველის ნების ფორმირებაზე. ეს კი ეხება, როგორც ხელშეკრულების დადებას, ისე ხელშეკრულების პირობების განსაზღვრას. ბუნდოვნად ჩამოყალიბებული კითხვა მზღვეველის საწინააღმდეგოდ განიმარტება.²⁵⁰

მტკიცების ნაწილში მზღვეველმა უნდა დაამტკიცოს, დამზღვევის ცოდნის ფაქტი, არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესახებ, ხოლო დამზღვევმა უნდა ამტკიცოს, რომ მზღვეველს მიაწოდა ინფორმაცია ყველა მნიშვნელოვანი გარემოებების შესახებ.²⁵¹ საკასაციო პალატის განმარტებით, „სადაზღვევო კომპანიაა ვალდებული, ამტკიცოს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების გამომრიცხველი გარემოების ფაქტი“²⁵²

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევასა და დამადგარ შედეგს შორის უნდა იყოს პირდაპირი მიზეზობრივი კავშირი.²⁵³

სსკ-ის 811-ე მუხლით განსაზღვრულია ხანდაზმულობის სპეციალური ვადა ინფორმაციის შეუტყობინებლობის გამო.²⁵⁴ სსკ-ის 811-ე მუხლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს დამზღვევის მიერ, ინფორმაციის შეუტყობინებლობის გამო, მზღვეველის უფლებამოსილებას, მოშალოს სადაზღვევო ხელშეკრულება ერთი თვის ვადაში, რომელიც აითვლება იმ მომენტიდან, როდესაც მზღვეველისთვის ცნობილი გახდა შეტყობინების მოვალეობის დარღვევის თაობაზე. მზღვეველის უფლება ვრცელდება როგორც ხელშეკრულების დადების ეტაპზე, ისე სადაზღვევო პერიოდის განმავლობაში და სადაზღვევო შემთხვევის დადგომის დროს. სსკ-ის 811-ე მუხლის მეორე ნაწილით თანახმად, მზღვეველი ვალდებულია აცნობოს დამზღვევს ხელშეკრულების მოშლის თაობაზე.²⁵⁵

²⁵⁰ ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, *gccc.ge*, 15.03.2016, მუხ. 808, ველი 15.

²⁵¹ ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, *gccc.ge*, 15.03.2016, მუხ. 808, ველი 19.

²⁵² საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2015 წლის 3 ივნისის №ას-368-349-2015 გადაწყვეტილება.

²⁵³ ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, *gccc.ge*, 15.03.2016, მუხ. 808, ველი 16.

²⁵⁴ ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, თბილისი, 2001, 30.

²⁵⁵ ირემაშვილი ქ., სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, *gccc.ge*, 15.03.2016, მუხ. 810, ველი 1.

7.2 ვალდებულების დარღვევის მიმოხილვა უცხო ქვეყნების კანონმდებლობის მიხედვით

მხარეთა მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში უცხო ქვეყნების კანონმდებლობით რეგულირებულია შესაბამისი სანქციები ხელშეკრულების დამრღვევის მხარის მიმართ.

ევროპის დაზღვევის ხელშეკრულების პრინციპების თანახმად, მზღვეველი, აპრიორი, უფლებამოსილია გამოიყენოს დამზღვევის მიმართ სანქციები, თუ ეს დამზღვევის განზრახი ქმედებითაა გამოწვეული. მზღვეველი, აგრეთვე, უფლებამოსილია დამზღვევეს, მის მიერ ჩადენილი განზრახი „თაღლითობის“ გამო, მზღვეველის მიერ ამ ფაქტის გაგებიდან 2 თვის ვადაში წერილობით აცნობოს, ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.²⁵⁶

ხელშეკრულების დადების ეტაპზე ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევისას მზღვეველი ვერ გამოიყენებს სანქციებს შემდეგ შემთხვევებში: თუ მზღვეველის მიერ დასმული შეკითხვა ამკარად არასრულყოფილი ან არასწორია; ინფორმაცია, რომელიც დამზღვევის მიერ უნდა გამომჟღავნებულიყო, არ მიაწოდა მზღვეველს ან მიაწოდა არასწორად, რომელიც არ იყო მატერიალური გონიერი მზღვეველისთვის სწორი გადაწყვეტილების მისაღებად, დაედო თუ არა ხელშეკრულება ან დაედო თუ არა შეთანხმებული პირობებით. ინფორმაცია, რომლის შესახებაც მზღვეველა დაარწმუნა დამზღვევი, რომ არ საჭიროებდა გამჟღავნებას. თუ ეს ინფორმაცია მზღვეველმა იცოდა ან უნდა სცოდნოდა.²⁵⁷

ერთ-ერთ საქმეზე,²⁵⁸ სასამართლომ დაადგინა, რომ ბროშურა არ იყო დოკუმენტი, რომელიც შეცდომაში შეიყვანდა დამზღვევეს. ის ფაქტი, რომ რისკები შეფასდა გადაწყვეტილების მიმღებ პირზე დაქვემდებარებული ჯგუფის მიერ, არ წარმოდგენს მნიშვნელოვან გადახვევას ბროშურის შინაარსისგან. ნებისმიერ შემთხვევაში, მხოლოდ ეს გარემოება არ ყოფილა გადაწყვეტი მიზეზი დაზღვეულისთვის, გაეფორმებინა ხელშეკრულება და გამომდინარე აქედან, ადგილი არ ჰქონია მზღვეველის შეცდომაში შეყვანას. ასეც რომ ყოფილიყო, ზიანის სწორი კალკულაცია ჩატარდებოდა თაღლითობის შედეგად მიღებული ზიანის საფუძველზე და გამომდინარე აქედან, სასამართლომ უნდა უზრუნველყოს იმის დადგენა, ჰქონდა თუ არა ადგილი შეცდომაში შეყვანის ფაქტს.

²⁵⁶ PEICL, Article 2:104.

²⁵⁷ PEICL, Article, 2:103.

²⁵⁸ *Avon Insurance plc v Swire Fraser Ltd [2000] 1 All ER (Comm) 573; ob.*
<https://www.lawteacher.net/cases/avon-insurance-v-swire-fraser.php>

ინფორმაციის გაუმჟღავნებლობის შემთხვევაში, მზღვეველი უფლებამოსილია გააუქმოს ხელშეკრულება. ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად, მხარეები იყენებენ „სტატუს-კვო ანტეს“ (ლათ. status quo ante), რაც გულისხმობს მხარეთა ისეთ მდგომარეობაში დაბრუნებას, როგორც ხელშეკრულების დადებამდე იყო.²⁵⁹

ერთ-ერთ მაღალიზიურ საქმეზე²⁶⁰, მზღვევეებმა ვერ აიცილეს სადაზღვევო ხელშეკრულება იმ საფუძვლით, რომ მზღვეველმა სავარაუდოდ იცოდა იმ ფაქტების შესახებ, რომელიც თავიდან დაფარა დამზღვევმა.²⁶¹

მზღვეველს მხოლოდ მაშინ აქვს ხელშეკრულების შეწყვეტის ან სახელშეკრულებო პირობების შეცვლის უფლებამოსილება თუ სადაზღვევო პოლისში გამოვლინდება დამზღვევის მიერ ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების დარღვევა. ამ უფლებას მზღვეველი ვერ გამოიყენებს თუ დადგინდება, რომ სადაზღვევო აგენტის შესახებ ცნობილი იყო ამ გარემოების შესახებ ხელშეკრულების დადებისას. გარდა ამისა ამ უფლებების გამოყენების შესაძლებლობა მას ამ ვალდებულების დარღვევის გაგებიდან ერთი თვის ვადაში აქვს და არა უგვიანეს 5 წლისა ხელშეკრულების დადებიდან (ჯანმრთელობის დაზღვევის შემთხვევაში ეს ვადა 3 წელს შეადგენს). განზრახვის ან თაღლითობის შემთხვევაში, ეს ვადა 10 წლამდე გრძელდება.²⁶²

III. დასკვნა

ნაშრომში ყურადღება გამახვილდა სადაზღვევო ურთიერთობის იმ ძირითად მახასიათებელზე, რასაც მხარეთა ერთმანეთისადმი უმაღლესი ნდობა *ubberima fides* წარმოადგენს. აღნიშნული პრინციპი კეთილსინდისიერების პრინციპის უმაღლესი გამოვლინებაა, რომელიც სწორედ სადაზღვევო ურთიერთობისთვის უმნიშვნელოვანესი პირობაა.

ნაშრომში ყურადღება გამახვილდა მხარეთა მიერ ხელშეკრულების დადებისას ერთ-ერთ მთავარ ვალდებულებაზე - გულისხმიერებაზე,

²⁵⁹ *Clarke M., Developments on Insurance Law in England: Precontractual Information Duties and Warranties, 5 EJCCL 1, 2013, 1-2.*

²⁶⁰ *Tan Kang Hua v Safety Insurance Co27 and Pacific & Orient Insurance Co Sdn Bhd v Lim Sew Chong, ob. Thanasegaran H., Good faith in insurance and takaful contracts in MalaYsia a comparative perspective, 2016, 54.*

²⁶¹ *Thanasegaran H., Good faith in insurance and takaful contracts in MalaYsia a comparative perspective, 2016, 54.*

²⁶² *Koch R., German reform of insurance contract law, 2 EJCCL 163, 2010, 169.*

ხელშეკრულების პირობების განსაზღვრისა და სწორი ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით. ეს ეხება როგორც მზღვეველს, ისე მეორე მხარეს - დამზღვევს. ორივე მხარეს აკისრია ერთმანეთისადმი ინფორმაციის სწორად მიწოდების ვალდებულება, რომელიც შემდგომში, ხელშეკრულების შესრულების უმთავრეს გარანტიას წარმოადგენს. სწორედ მხარეთა მიერ ხელშეკრულებისადმი გამოვლენილი კეთილსინდისიერება უწყობს ხელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებას. შესაბამისად, მხარეთა შორის არსებული ფიდუციური ვალდებულების სწორად გაგება და გააზრება არსებითია ხელშეკრულებისათვის. აღნიშნული ვალდებულება აკისრია ხელშეკრულების ორივე მხარეს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობაში არსებული ნორმები იძლეოდეს მხარეთა მიერ განმარტების სწორ საფუძველს, ვინაიდან შესაძლებელია, ხელშეკრულების გაფორმებისას კონკრეტულ შემთხვევაში იყოს თავის მხრივ მზღვეველი და მეწარმე პირი, ასევე მზღვეველი - მომხმარებელი. გამომდინარე აქედან, კანონმდებლობაში არსებული ნორმები უფრო უნდა აკონკრეტებდეს და ნათლად მიჯნავდეს მათ შორის არსებულ სხვაობას, გამოყენების წესს და ვალდებულებას სადაზღვევო ურთიერთობის განმავლობაში.

ნაშრომში სადაზღვევო ურთიერთობის მომწესრიგებელ ქართულ ნორმებთან ერთად, პარალელურად განხილულ იქნა ევროპის სადაზღვევო სამართლის პრინციპები და აგრეთვე, სხვა ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა, რომელთა მაგალითზეც, უფრო აშკარად გახდა ნათელი ის, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების დადებისას დამზღვევის მიერ ინფორმაციის სწორად, ადეკვატურად და ზუსტად მიწოდებას კანონის ფარგლებში და აგრეთვე, მზღვეველის მიერ ხელშეკრულების პირობების სამართლიან განსაზღვრას, ინფორმაციის მიღებისთვის საჭირო შეკითხვების სწორ ფორმულირებასა და ინფორმაციის გამოთხოვას იმ ფარგლებში, რომელიც კანონმდებლობითაა ნებადართული.

ვფიქრობ, ნაშრომმა წამოჭრილმა საკითხებმა ნათლად წარმოაჩინა მხარეთა ის პასუხისმგებლობა, რომელიც ახლავს სადაზღვევო ურთიერთობებს და ამ პასუხისმგებლობის უგულებლყოფის სამართლებრივი შედეგები, რომელიც ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, გარდაუვალია.

თანამედროვე მსოფლიოში საზოგადოება უფრო მეტ წინდახედულობას იჩენს საკუთარი ჯანმრთელობისა და ქონების მიმართ, რაც გამოიხატება რისკების დაზღვევაში. ამისათვის კი საჭიროა, ჯანსაღი სადაზღვევო ურთიერთობები, რომელიც დამოკიდებულია როგორც

სადაზღვევო კომპანიების მიერ ამ პასუხისმგებლობის სრულად გაანალიზებაში, იქნება ეს ხელშეკრულების პირობების ადეკვატური განსაზღვრა თუ ინფორმაციის სწორი და ადეკვატური მიღება, ისე დამზღვევის მიერ ნაკისრი ვალდებულების ჯეროვნად შესრულება, რაც გამოიხატება ინფორმაციის სწორად და გარკვევით მიწოდებაში, როგორც ხელშეკრულების დადებისას, ისე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას და მის შემდეგ.

საბოლოო ჯამში, ნაშრომის მიზანს დაზღვევის ხელშეკრულების მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულების მნიშვნელობის წარმოჩენა წარმოადგენდა სადაზღვევო ურთიერთობებში. განსაკუთრებით კი, ეს ეხებოდა ერთმანეთისადმი ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას და ამ უკანსკნელის დარღვევის სამართლებრივ შედეგებს.

ბიბლიოგრაფია

ქართულ ენაზე:

ამირანაშვილი გ., დაზღვევის ხელშეკრულების ალექტორული ბუნება და მისი მიმართება პირობით გარიგებასთან, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, №1 (61), 2019.

ბაჩიაშვილი ვ., ხელშეკრულების განმარტება ევროპული სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების მიხედვით და საქართველოს კანონმდებლობაში მისი იმპლემენტაციის მიზანშეწონილობა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, №1, 2013 .

ბერიძე თ./ჟორჟოლიანი გ./ჭელიძე მ., საქართველოს სადაზღვევო ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს მიმოხილვა (სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირას“ მაგალითზე) კონკურენციის პოლიტიკა: ტენდენციები და გამოწვევები, თბილისი, 2018

გაბუნია მ., მტკიცებითი სამართლის აქტუალური საკითხები, სტატიათა კრებული, რედ. ნუნუ კვანტალიანი, დავით ბატონიშვილის სამართლის ინსტიტუტი, თბილისი, 2016

გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თბილისი, 2002.

ვაშაკიძე გ., კეთილსინდისიერება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით - აბსტრაქცია თუ მოქმედი სამართალი, ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა, №1, 2007

ზოიძე ბ., ევროპული კერძო სამართლის რეცეფცია საქართველოში, საგამომცემლო საქმის სასწავლო ცენტრი, თბილისი, 2005

ირემაშვილი ქ, მხარეთა უფლებრივი თანაფარდობის კრიტერიუმები სადაზღვევო ურთიერთობებში, თბილისი, 2016

ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gccc.ge, 14.03.2016.

ირემაშვილი ქ., ჯანმრთელობის დაზღვევა, როგორც ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთი მექანიზმი, შრომის სამართალი (სტატიათა კრებული) I, რედ. ზაალიშვილი ვ., გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2011

იოსელიანი ა., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელმწიფო სამართალში (შედარებით სამართლებრივი გამოკვლევა), ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა, სპეციალური გამოშვება, 2007

იოსელიანი ნ., ხელმწიფოების განმარტება, რედ. ზ. ძლიერიშვილი, თბილისი, 2008

კერესელიძე დ., კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009.

ლაკერბაია თ., ხელმწიფოების უარყოფის უფლება: ქართული და სახელმწიფო სამართლის შედარებითი ანალიზი, თბილისი, 2016

მოწონელიძე ნ. სუბროგაცია, როგორც მზღვეველის მოთხოვნის დაკმაყოფილების საშუალება, თბილისი, 2016

მოწონელიძე ნ., თანამედროვე ბიომედიცინის როლი სადაზღვევო სამართალში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, №2, 2013

ნოზაძე ი., ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, როგორც კეთილსინდისიერების პრინციპის გამოვლენის თავისებურება, ნებაყოფლობით და სავალდებულო დაზღვევაში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, სამართლის ჟურნალი, №1, 2017.

რუსიაშვილი გ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ონლაინკომენტარი, gcc.ge, 21.03.2017, მუხ. 345.

ტაბაღა ბ., დაზღვევის ხელმწიფოებიდან გასვლის, ხელმწიფოების მოშლის, შეწყვეტის და ბათილობის სამართლებრივ შედეგებზე ამ ხელმწიფოების ალტერნატიული ბუნების გავლენა, თბილისი, 2014

ქოჩაშვილი ქ., ნება და ნების გამოვლენა (მეტასამართლებრივი და ცივილისტური გააზრება), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, №2, 2016

ქეცბაია ე., დაზღვევის სამართალურთიერთობის სუბიექტები და ობიექტი, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, №4 (43) 2014

შენგელია ი., სახელმწიფოებო თავისუფლება, როგორც სამოქალაქო სამართლის პრინციპი, არსი და მნიშვნელობა, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, №4 (23), 2009

ჩაჩავა ს., მოთხოვნების და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში, თბილისი, 2010

ჩაჩანიძე თ., სახელშეკრულებო თავისუფლება და სახელშეკრულებო სამართლიანობა თანამედროვე სახელშეკრულებო სამართალში ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, №3, (26), 2010

ცისკაძე მ., ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2001

ძლიერიშვილი ზ./ცერცვაძე გ./რობაქიძე ი./სვანაძე გ./ცერცვაძე ლ./ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2014

ჭანტურია ლ., სამოქალაქო სამართლის ზოგადი ნაწილი, გამომცემლობა „სამართალი“ თბილისი 2011

ჭანტურია ლ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი III, თბილისი, 2001

ხუნაშვილი ნ., კეთილსინდისიერების პრინციპი სახელშეკრულებო სამართალში, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2014

ხუნაშვილი ნ., ხელშეკრულების სტანდარტული პირობების შინაარსის კონტროლი და შეზღუდვა კეთილსინდისიერების საფუძველზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის ჟურნალი, №1, 2013

ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ფარგლები სამოქალაქო სამართალში, თბილისი, 2016

უცხოურ ენაზე:

Basedow J., Bird J., Clarke M., Cousy H., Heiss H, Principles of European Insurance Contrat Law (PEICL), 2009

Clarke M., Developments on Insurance Law in England: Precontractual Information Duties and Warranties, 5 EJCCL 1, 2013

Clarke M., The london insurance market , 7 EJCCL 97 european journal of commercial Contract law 2015-3

Merkin B./Steele J., Insurance and the law of obligations, Oxford University Press, 2013

Engel K./ Hendrikse M., Pre-Contractual Fraud in Insurance Contract Law, 6 EJCCL 33, 2014

Forte A.D.M. "Good Faith in contract and property" oxford-portland Oregon, 1999

GUPTA P.K., Fundamentals of insurance, 2008

Heiss H., Proportionality in the new german insurance contract act 2008, eramus Law Review, Volume 5, Issue 2, 2012

Koch R., German reform of insurance contract law, 2 EJCCL 163 (2010) European Journal of Commercial Contract Law 2010-3

Loshin J., Insurance Law's Hapless Busybody: A Case Against the Insurable Interest Requirement, The Yale Law Journal, 2007

Thanasegaran H., Good faith in insurance and takaful contracts in MalaYsia a comparative perspective, 2016

Tiggele - van der Velde M.V., introduction: Insurance law and evolving sanctions – about a new balance in the mutual obligations of both parties to a contract of insurance and a new system sanctions , 5 erasmus, L. Rev. 93, 2012

Tyagi C.L./Tyagi M., Insurance law and practice 2007

Vaughan E.J/, Vaughan T.M., Fundamentals of risk and insurance, 10th ed., 2007

საქართველოს სასამართლოების გადაწყვეტილებები:

საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 5 მარტის №3კ-310-03 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 23 ივნისის №ას-1388-1224-10 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 17 თებერვლის №ას-663-624-2011 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 10 სექტემბრის №ას-755-811-2011 გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის 27 ნოემბრის №2ბ/3080-12 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 28 იანვრის №ას-1643-1540-2012 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 21 თებერვლის №85-81-2013 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2013 წლის 9 ოქტომბრის №ას-1708-1602-2012 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2013 წლის 23 დეკემბრის, №ას-614-584-2013 გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 23 აპრილის საქმე №2ბ/4563-13 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 10 ოქტომბრის №ას-657-624-2014 განჩინება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 20 ოქტომბრის, საქმე №698-668-2014 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2015 წლის 3 აპრილის №ას-1308-1246-2014 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 3 ივნისის №ას-368-349-2015 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 30 ოქტომბრის №ას-1319-1257-2014 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს, სამოქალაქო საქმეთა პალატის, 2016 წლის 11 მარტის №ას-92-88-2016 გადაწყვეტილება.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 8 ივლისის №ას-535-511-2016 გადაწყვეტილება.

სხვა ქვეყნის სასამართლოების გადაწყვეტილებები:

Carter V Boehm, 1766

Rozanes v Bowen, 1928

Lambert v Cooperative Insurance Society Ltd., 1975

Abu Bakar v Oriental Fire and General Insurance Co Ltd, 1976

Barclay Holdings (Australia) Pty Ltd v. British National Ins. Co. Ltd., 1987

New Hampshire Insurance v MGN The Times, 28.07.1995

Tan Kang Hua v Safety Insurance Co²⁷ and Pacific & Orient Insurance Co Sdn Bhd v Lim Sew Chong, 1973

Avon Insurance plc v Swire Fraser Ltd [2000] 1 All ER (Comm) 573

ნორმატიული აქტები:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, პარლამენტის უწყებანი, №31, 24.07.1997, №786.

საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 21-22, 31.05.1997, №690.

საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ ვებგვერდი, 16/01/2012, №5669-რს.

ევროპის დაზღვევის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპები.

დიდი ბრიტანეთის სადაზღვევო აქტი, 2015.

გერმანიის სადაზღვევო ხელშეკრულების შესახებ აქტი, 2008.

ინტერნეტ-წყაროები:

www.matsne.gov.ge

www.gccc.ge

<https://www.lawteacher.net/free-law-essays/commercial-law/insurable-interest-and-property-insurance-policy-commercial-law-essay.php>

<https://www.lawteacher.net/cases/avon-insurance-v-swire-fraser.php>